

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა



თამარ ცაგურიშვილი

კონცენტრაციათა კონკურენციულსამართლებრივი რეგულირების
ზოგიერთი პრობლემური ასპექტი ქართულ სამართალში

შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი გიორგი ცერცვაძე

თბილისი

2019

სარჩევი

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი	3
შესავალი	4
I. ცნება, რეგულირების ისტორია, მოქმედი საკანონმდებლო ბაზა	6
1. კონცენტრაციის ცნების განმატებისათვის	6
2. კონცენტრაციათა კონკურენციულსამართლებრივი რეგულირების ისტორია საქართველოში.....	7
3. კონცენტრაციათა რეგულირების მოქმედი საკანონმდებლო ბაზა.....	8
4. კონცენტრაციათა კონტროლის პროცედურის ზოგადი მიმოხილვა.....	11
II. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხორციელების შემთხვევა	13
1. მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხილვის ვადა.....	13
ა. კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი	13
ბ. ევროკავშირის შერწყმის რეგულაცია	14
გ. სხვა ქვეყნების კანონმდებლობა	15
დ. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.....	15
2. კონცენტრაციათა მატერიალურ-სამართლებრივი შეფასების პრობლემატიკა .	18
ა. დომინანტობის ტესტი	19
ბ. კონკურენციის მნიშვნელოვნად შემცირების ტესტი.....	21
გ. ეფექტიანი კონკურენციის მნიშვნელოვნად შეფერხების ტესტი.....	23
დ. ქართული სამართლის არჩევანი	26
ე. კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკა	29
აა. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია	29

ბბ. სააგენტოს გადაწყვეტილებებში გამოყენებული მატერიალურ-სამართლებრივი შეფასების ტესტი	31
III. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების ვალდებულების უზულვებელყოფის შემთხვევა.....	34
1. კონკურენციის სამართლით გათვალისწინებული სანქციები.....	35
2. კონცენტრაციის შეტყობინების გარეშე განხორციელებისათვის გათვალისწინებული სანქციები	37
3. შეტყობინების ვალდებულების გვერდის ავლით განხორციელებული კონცენტრაცია	38
4. სააგენტოს მიერ დასახული პერსპექტივები	41
5. პრობლემის გადაჭრის გზები	42
ა. ჯარიმა	43
აა. სხვა ქვეყნების კანონმდებლობა	43
ბბ. ჯარიმის დაწესების აუცილებლობა.....	44
გგ. ჯარიმის ოდენობა	48
ბ. განხორციელებული კონცენტრაციის ბათილობა	49
გ. სანქციების ამოქმედებამდე განხორციელებული კონცენტრაციების ბედი..	51
დასკვნა	53
ბიბლიოგრაფია	55

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი

იხ. - იხილეთ

შეად. - შეადარეთ

ინგლ. - ინგლისურად

სააგენტო - სსიპ კონკურენციის სააგენტო

ევროკავშირის შერწყმის რეგულაცია - ეკონომიკურ აგენტთა შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ ევროპის საბჭოს 2004 წლის 20 იანვრის №139/2004 რეგულაცია

რეესტრი - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი

შესავალი

კონკურენციის სწორი პოლიტიკა ახალისებს ინოვაციურ, დინამიურად კონკურენტულ ბაზარს, ზრდის მის ეფექტურობასა და აქედან გამომდინარე, მომხმარებელთა კეთილდღეობასაც¹.

საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ 2014 წლის შეთანხმებით განისაზღვრა ის ძირითადი პრინციპები, რომელთა შესაბამისადაც უნდა ჩამოყალიბდეს ქართული საკანონმდებლო ბაზა და კონკურენციულსამართლებრივი პრაქტიკა². მათ შორის, შეთანხმების 204(1) მუხლი განმარტავს, რომ მხარეებს უნდა გააჩნდეთ კონკურენციის კანონები, რომლებიც ითვალისწინებს შერწყმების (კონცენტრაციების) ეფექტიან კონტროლს. ხოლო, 204(2) მუხლი ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოს ჰყადეს კონკურენციის კანონების ეფექტიან აღსრულებაზე პასუხისმგებელი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო.

კონცენტრაციას შესაძლოა არაერთი დადებით შედეგი მოჰყვეს, მათ შორის, წარმოების ხარჯების შემცირება, ახალი პროდუქტის ან ბაზრის განვითარება, ინოვაციისა და ტექნოლოგიების ტრანსფერი. თუმცა, მედალს ყოველთვის აქვს მეორე მხარე - საბაზრო ძალაუფლების გაძლიერება, ბაზრის ოლიგოპოლიური სტრუქტურის დანერგვა, ბაზარზე შესვლისათვის ბარიერების შექმნა, ფასების ცალმხრივად განსაზღვრის შესაძლებლობა.

მიუხედავად კამათისა, რომელიც წინ უსწრებდა კონცენტრაციათა კონკურენციულსამართლებრივ რეგულაციას³ დღეისათვის, როგორც აშშ-ს, ისე ევროკავშირის სამართლით აღიარებულია, რომ ზოგიერთი კონცენტრაცია არსებითად ზღუდავს კონკურენციას და აქედან გამომდინარე, დაუშვებელია. მსოფლიოს 100 ქვეყანაზე მეტში მოქმედებს კონკურენციულსამართლებრივი კანონმდებლობა, ხოლო აქედან 80-ზე მეტი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა სხვა კონკურენციულსამართლებრივ პრობლემატიკასთან ერთად,

¹ Zekos G., Economics and law on competition and globalization, New York, 2008, 49.

² მაისურაძე დ., სულხანიშვილი ე., ვაშაკიძე გ., ევროკავშირის კერძო სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, თბილისი, 2018, 177.

³ დეტალურად იხ. < <http://oxfordre.com/economics/view/10.1093/acrefore/9780190625979.001.0001/acrefore-9780190625979-e-340> >, [29.06.2019].

კონცენტრაციებსაც არეგულირებს⁴. რეგულირების მიზანი ბაზრის სტრუქტურული ცვლილებების კონტროლია.

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 წელი გავიდა, კონკურენციის შესახებ კანონში კი უახლესი ცვლილებები 2014 წლის მარტში (ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერამდე) განხორციელდა. ლოგიკურია, იბადება კითხვა, თუ რამდენად შეესაბამება კონცენტრაციებთან მიმართებით ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ვალდებულებებს ქართული საკანონმდებლო ბაზა და კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა.

დასმულ საკითხზე პასუხის ძიების მიზნით, ნაშრომში განხილული იქნება არაერთი პრობლემური საკითხი, გამოვლინდება კონცენტრაციათა მარეგულირებელ ნორმებში არსებული ხარვეზები, დასახული იქნება მათი აღმოფხვრისა და ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფის რელევანტური გზები.

ნაშრომი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან და მიმოიხილავს კონცენტრაციის ცნებას, რეგულირების ისტორიას, ამჟამინდელ საკანონმდებლო ბაზას, მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხილვის ვადას, კონცენტრაციათა მატერიალურ-სამართლებრივი შეფასების პრობლემატიკას, კონცენტრაციის შეტყობინების გარეშე განხორციელებისათვის გათვალისწინებული სანქციებს, შეტყობინების ვალდებულების გვერდის ავლით განხორციელებული კონცენტრაციის კონკრეტულ მაგალითს და ამ მაგალითზე დაყრდნობით, სთავაზობს მკითხველს არსებული საკანონმდებლო ვაკუუმის შევსებისათვის ყველაზე ხელსაყრელ საშუალებებს.

ამ მიზნით, ნაშრომი იყენებს დოქტრინის, პოზიტიური სამართლის, სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკის ანალიზს, აგრეთვე, როგორც ზოგადსამეცნიერო ისე სპეციალურ, სამართლებრივ მეთოდებს. კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, დოგმატური, ლოგიკური, ტელეოლოგიური და ანალიტიკურ-შედარებითი მეთოდები. ასევე, ქართული კონკურენციის სამართლისა და პრაქტიკის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი სხვა სახელმწიფოთა კონკურენციის სამართალთან მიმართებით.

⁴ Whish R., Bailey D., Competition Law, New York, 2012, 812.

I. ცნება, რეგულირების ისტორია, მოქმედი საკანონმდებლო ბაზა

1. კონცენტრაციის ცნების განმატებისათვის

კონცენტრაციის ცნება ქართული სამართლისათვის სიახლეა, იგი პირველად 2012 წლის 8 მაისს მიღებულ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონში გამოჩნდა. მანამდე, 1996 წელს მიღებული “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონი მხოლოდ შერწყმას მოიხსენიებდა.

კონკურენციის სამართალი, ხშირად, „კონცენტრაციას“ (Concentration) და „შერწყმას“ (Merger) ექვივალენტური და ურთიერთჩანაცვლებადი მნიშვნელობის ტერმინებად განიხილავს⁵. კლასიკური გაგებით, შერწყმა გულისხმობს მანამდე არსებული ორი დამოუკიდებელი სამართალსუბიექტის ერთ, ახალ სამართალსუბიექტად გარდაქმნას⁶ (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი შერწყმის ცნების ქვეშ მოიაზრებს არა მხოლოდ საწარმოთა გაერთიანების გზით ახალი საწარმოს შექმნას, არამედ ასევე ერთი საწარმოს მიერ მეორე საწარმოს მიერთებას). თუმცა, ტერმინი „შერწყმა“, კონკურენციის სამართალში, უტოლდება „კონცენტრაციის“ ცნებას და სხვაგვარ, უფრო ფართო დატვირთვას იძენს, ვიდრე მას ჩვეულებრივ წმინდა საკორპორაციო სამართლისეული გაგებით აქვს⁷.

თავის მხრივ, „კონცენტრაცია“ მოიცავს ტრანზაქციათა გაცილებით ფართო სპექტრს, ვიდრე უბრალოდ საკორპორაციოსამართლებრივ შერწყმას. ქართული კანონმდებლობის მიხედვით კონცენტრაციას მიეკუთვნება: ორი ან მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის გაერთიანება, ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ მეორე ეკონომიკურ აგენტზე ან მისი ბიზნესის ნაწილზე ირიბი ან პირდაპირი კონტროლის მოპოვება, ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მმართველ ორგანოებში მონაწილეობა, ერთობლივი საწარმოს შექმნა⁸. კონცენტრაციათა ქართული დეფინიცია შესაბამისობაშია

⁵ Whish R., Bailey D., Competition Law, New York, 2012, 809.

⁶ Oesterle A. D., The Law of Mergers and Acquisitions, Ohio, 2005, 3.

⁷ იხ. საქართველოს კონკურენციის სამართალი, ზუკაკიშვილი ქ., ჯაფარიძე ლ., თბილისი, 2019, 504.

⁸ მენაბდიშვილი ს., ქართული კონცენტრაციის რეგულირებაში ძირითადი საკანონმდებლო ხარვეზები, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, ნ. ხადურის რედაქტორობით, თბილისი, 2017, 170.

ევროკავშირის სამართალთან⁹. ევროკავშირის შერწყმის რეგულაციის მე-3 მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით, კონცენტრაცია წარმოიშობილად ითვლება მაშინ, როდესაც კონტროლის ხანგრძლივი ცვლილება გამომდინარეობს გარკვეული სახის ტრანზაქციებიდან. მაშასადამე, ტრანზაქციის კონცენტრაციად კვალიფიკაციის მიზნებისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ერთსა და იმავე რელევანტურ ბაზარზე მოქმედი ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ, მეორე ეკონომიკურ აგენტზე კონტროლის მოპოვებას ენიჭება¹⁰.

2. კონცენტრაციათა კონკურენციულსამართლებრივი რეგულირების ისტორია საქართველოში

კონცენტრაციათა რეგულირების მიღმა დატოვება საფრთხეს უქმნის როგორც მომხმარებელთა კეთილდღეობას, ისე თავისუფალ კონკურენციას. შერწყმის შედეგად დომინანტური მდგომარეობის ან ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობის მოპოვებით, ეკონომიკურ აგენტს ეძლევა საშუალება დამოუკიდებლად დაარეგულიროს ფასები. კონკურენციის არქონის პირობებში, იგი ნაკლებად ზრუნავს ხარისხზე, ნაკლებადაა დაინტერესებული ინოვაციით, რაც საერთო ჯამში მომხმარებელთა ინტერესებზე უარყოფითად აისახება. გარდა ამისა, მომხმარებელთა დაცვის გვერდით, კონკურენციის სამართლის კიდევ ერთი დადებითი შედეგი კონკურენციის თავისუფლების უზრუნველყოფაა¹¹. კონკურენციის თავისუფლება, როგორც კონკურენციის სამართლის მიზანი, სათავეს ორდოლიბერალური¹² სკოლიდან იღებს. ორდოლიბერალთა აზრით, კონკურენცია ეკონომიკური წინსვლისა და

⁹ Menabdishvili S., Main Practical and Legal Issues in Georgian Merger Regulation in the Context of EU-Georgian Association Agreement, EU Association Agreements With Georgia, Moldova And Ukraine: Through Cooperation Towards Integration, Chişinău-Tbilisi-Chernivtsi, 2017, 226.

¹⁰ მენაბდიშვილი ს., კონცენტრაციის არსი და მისი კონკურენციის სამართლისეული შეფასება, მართლმსაჯულება და კანონი, № 2(58)'18, 2018, 156; იხ. ციტირება: Claes Bengtsson, Julia Brockhoff, et al, EU Competition Law, Mergers and Acquisitions, Volume II, 2nd Ed., Book One, 2012, 41.

¹¹ Moisejevas R., Novosad A., Some Thoughts Concerning The Main Goals Of Competition Law, Jurisprudence 20(2), 2013, 631; იხ. ცირიტება: Gormsen. L.L, Where Are We Coming From and Where Are We Going to? The Competition Law Review 2(2), 2006, 9-10.

¹² დეტალურად იხ. <<https://en.wikipedia.org/wiki/Ordoliberalism>>, [29.06.2019].

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა¹³.

საქართველოსათვის, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის, რომელიც ცდილობს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, კონკურენციის დამცავი, მათ შორის კონცენტრაციებთან დაკავშირებული, ნორმების არსებობა და მათი ეფექტური აღსრულება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

საქართველომ პირველი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა 1992 წელს მიიღო, საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე¹⁴. 1996 წელს მიღებული “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონი კონცენტრაციებს დეტალურად არ აწესრიგებდა, მხოლოდ შერწყმას მოიხსენიებდა რამდენიმე მუხლში. იგი 2005 წელს გაუქმდა¹⁵, მის ნაცვლად საქართველოს პარლამენტმა მიიღო „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონი. ეს უკანასკნელი მხოლოდ სახელმწიფო სუბსიდიების სეგმენტს არეგულირებდა და ყურადღების მიღმა ტოვებდა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილების, შეთანხმების და კონცენტრაციის რეგლამენტაციას¹⁶. კანონმდებლის კვალიფიციური დუმილი გამართლებული იყო ბიზნესის წარმოების გამარტივებისა და ადმინისტრაციული ცვლილებების ტალღის აუცილებლობით, რადგან ვარდების რევილუციის შემდეგ საქართველოში „ლიბერტარიანული მიდგომები დომინირებდა“¹⁷.

3. კონცენტრაციათა რეგულირების მოქმედი საკანონმდებლო ბაზა

2010-იანი წლებიდან იწყება კონკურენციის სამართლის ევროკავშირის პრინციპებთან დაახლოების ტენდენცია. საქართველოს მთავრობის

¹³ Moisejevas R., Novosad A., Some Thoughts Concerning The Main Goals Of Competition Law, Jurisprudence 20(2), 2013, 631.

¹⁴ Zukakishvili K., Two Years after the Legal Transplantation in Georgia, the Best is yet to Come, Sofia Competition Forum, Sofia, 2016, 42.

¹⁵ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში, თბილისი, 2012, 15.

¹⁶ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში, თბილისი, 2012, 15.

¹⁷ Zukakishvili K., Two Years after the Legal Transplantation in Georgia, the Best is yet to Come, Sofia Competition Forum, Sofia, 2016, 43.

„კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის“¹⁸ თანახმად, კონკურენციის შესახებ ჩარჩო კანონი უნდა მოიცავდეს ძირითად დეფინიციებს, პრინციპებსა და რეგულირებებს კონკურენციის სფეროში, მათ შორის: კონცენტრაციის რეგულირებას.

ამას მოჰყვა 2012 წელს „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება, რომლის მე-11 მუხლი არეგულირებდა კონცენტრაციების საკითხს.

შედარებისათვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში კლეიტონის აქტი 1914 წლიდან კრძალავს შერწყმებს, რომლებსაც შედეგად კონკურენციის მნიშვნელოვნად შემცირება მოსდევს¹⁹. ევროკავშირის დონეზე, კი პირველად კონცენტრაციები ეკონომიკურ აგენტთა შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ ევროპის საბჭოს 1989 წლის 21 დეკემბრის №4064/89 რეგულაციით მოწესრიგდა, რომელიც ძალაში 1990 წელს შევიდა²⁰.

ერთი მხრივ, თვალშისაცემია, რომ კონკურენციის სამართლის განვითარებით ზოგიერთ სახელმწიფოს თითქმის 100 წლით ჩამოვრჩებით, თუმცა, მეორე მხრივ, ეს ჩვენთვის შესაძლებელს ხდის საწყის ეტაპზე გამოვიყენოთ მათი მრავალწლიანი გამოცდილება და პროგრესი.

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონში 2014 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები²¹, კერძოდ შეიცვალა კანონის სახელწოდება²², შეიქმნა კონკურენციის სააგენტო („კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“-ს ნაცვლად²³), მოდიფიცირდა ასევე კანონის მე-11 მუხლი. გარდა ამისა, კანონს დაემატა 11¹ და 11² მუხლები

¹⁸ იგულისხმება საქართველოს მთავრობის მიერ 2010 წლის 3 დეკემბრის №: 1551 განკარგულებით დამტკიცებული „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“.

¹⁹ Kwoka J., Mergers, Merger control and Remedies, a retrospective analysis of U.S. policy, Massachusetts, 2015, IX.

²⁰ Levy N., EU Merger Control: From Birth to Adolescence, World Competition, 26(2), 2003, 195.

²¹ კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრი, სიახლეები კონკურენციის სამართალში, თბილისი, 2014, 3.

²² Menabdishvili S., Main Practical and Legal Issues in Georgian Merger Regulation in the Context of EU-Georgian Association Agreement, EU Association Agreements With Georgia, Moldova And Ukraine: Through Cooperation Towards Integration, Chişinău-Tbilisi-Chernivtsi, 2017, 226.

²³ Surmava L., From PCA to AA with Georgia: Harmonising State Aid Provisions, EU Association Agreements With Georgia, Moldova And Ukraine: Through Cooperation Towards Integration, Chişinău-Tbilisi-Chernivtsi, 2017, 141.

კონცენტრაციის შეტყობინების ვალდებულებისა და მისგან გათავისუფლების შესახებ.

ამდენად, კონცენტრაციების მარეგულირებელი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი წყარო ამჟამად „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონია. იგი განსაზღვრავს კონცენტრაციის ცნებას, დაუშვებელ და კონკურენციასთან თავსებად კონცენტრაციებს, კონცენტრაციათა შესახებ შეტყობინების ვალდებულებასა და ამ ვალდებულებისაგან გათავისუფლების შემთხვევებს.

კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების ვალდებულება დამატებით დაკონკრეტებულია „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესით“, რომელიც დამტკიცებულია კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №30/09-4-ით. აგრეთვე, აღსანიშნავია ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, რომელიც კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №30/09-3-ით დამტკიცდა, მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავებადობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გამოსაყენებელ მეთოდურ მითითებებს წარმოადგენს.

კონკურენციის შესახებ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანო არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კონკურენციის სააგენტო. ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციებზე ზედამხედველობა და ამ პროცესის კონკურენციის შესახებ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაც კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებაა²⁴.

მაშასადამე, კონცენტრაციათა კონკურენციულსამართლებრივი რეგულირების ისტორია საქართველოში, სულ რაღაც რამდენიმე წელს ითვლის და შეიძლება ითქვას, რომ იგი ევროკავშირის შერწყმის რეგულაციის რეცეფციის შედეგია²⁵.

²⁴ მაისურაძე დ., სულხანიშვილი ე., ვაშაკიძე გ., ევროკავშირის კერძო სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, თბილისი, 2018, 179.

²⁵ Zukakishvili K., Two Years after the Legal Transplantation in Georgia, the Best is yet to Come, Sofia Competition Forum, Sofia, 2016, 43.

4. კონცენტრაციათა კონტროლის პროცედურის ზოგადი მიმოხილვა

როგორც წესი, ეკონომიკურ აგენტებს ვალდებულება აქვთ კონცენტრაციის შესახებ მის იმპლემენტაციამდე, შეატყობინონ კონკურენციის შესახებ კანონების აღსრულებაზე ზედამხედველ ორგანოს²⁶.

ეკონომიკური აგენტები ვალდებულნი არიან შეატყობინონ ევროკომისიას იმ კონცენტრაციების შესახებ, რომელთაც გააჩნიათ ევროკავშირისათვის რელევანტური მასშტაბი²⁷. საფრანგეთის კანონმდებლობაში 2001 წელს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, ანალოგიურად, შეტყობინების ვალდებულების შემოღების გზით, კონცენტრაციათა წინასწარი, იმპლემენტაციამდე კონტროლი დამკვიდრდა²⁸. გერმანული კანონმდებლობაც აწესებს წინასწარი შეტყობინების ვალდებულებას, იმ შემთხვევაში, თუკი კონცენტრაცია აკმაყოფილებს შეტყობინებისთვის კანონით გათვალისწინებულ ზღვარს²⁹. აშშ-ში კლეიტონის აქტის მეშვიდე „ა“ სექცია განსაზღვრავს კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების ვალდებულებას, ასევე იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობისასაც შეტყობინების განხორციელება სავალდებულოა³⁰.

„კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის“ მე-3 მუხლის თანახმად, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტები აკმაყოფილებენ ერთ-ერთ შემდეგ პირობას: (1) ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს ან (2) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აქტივების ჯამური ღირებულება აღემატება 10 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი

²⁶ იხ. საქართველოს კონკურენციის სამართალი, ზუკაკიშვილი ქ., ჯაფარიძე ლ., თბილისი, 2019, 518.

²⁷ იხ. ევროპის საბჭოს 2004 წლის 20 იანვრის რეგულაცია № 139/2004 ეკონომიკურ აგენტთა შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ, OJ L 24/1, შემოკლებით: შერწყმების შესახებ რეგულაცია № 139/2004, 4(1) მუხლი.

²⁸ Vogel L., *Global Competition Law, A Practitioner's Guide*, Paris, 2015, 192.

²⁹ Vogel L., *Global Competition Law, A Practitioner's Guide*, Paris, 2015, 207.

³⁰ Fugina K., *Merger Control Review in the United States and the European Union: Working towards Conflict Resolution*, *Northwestern Journal of International Law & Business*, Vol26, Issue 2 winter, 2006, 475.

ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აქტივების ღირებულება აღემატება 4 მილიონ ლარს.

რაც შეეხება კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენაზე ვალდებულ პირებს, კანონი ამ ვალდებულებას შეძენის შემთხვევაში შემძენ (კონტროლის უფლების მომპოვებელ) პირს, ხოლო შერწყმების/გაერთიანების შემთხვევაში კონცენტრაციის ყველა მონაწილეს- ცალ-ცალკე, ან ერთობლივად აკისრებს³¹.

შეტყობინების ვალდებულება წარმოიშობა კონკურსის/აუქციონის შემთხვევაში შედეგების გამოცხადების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს კონცენტრაციის ფაქტობრივ განხორციელებამდე (მარეგისტრირებელ ორგანოში მის რეგისტრაციამდე). ხოლო, თუ კონცენტრაცია ეკონომიკურ აგენტთა შორის შეთანხმების შედეგია, მათ შეტყობინების ვალდებულება წარმოეშობათ შესაბამისი შეთანხმების გაფორმებამდე³².

სააგენტო ვალდებულია 1 თვის ვადაში განიხილოს შეტყობინება და აცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 კვირისა. დადგენილ ვადაში პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად ჩაითვლება. ვადის უშედეგოდ გასვლისათვის ანალოგიურ სამართლებრივ შედეგს არაერთი მართლწესრიგი აწესებს. სააგენტოს უარყოფითი დასკვნის გაცემა კი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.

ერთი შეხედვით, კანონის მოთხოვნა ნათელი და არაორაზროვანია, კონცენტრაციის განხორციელებისათვის, რომელიც ჯდება კანონით დადგენილ კრიტერიუმებში აუცილებელია კონკურენციის ეროვნული სააგენტოს

³¹ აშშ-ში ანალოგიური ვალდებულება ეკისრებათ კომპანიებს ან კერძო ინვესტორებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ხმის უფლების მქონე აქციების ან აქტივების შერწყმას/შემძენას, თუ ამგვარი შერწყმა/შემძენა თავისი ეკონომიკური მნიშვნელობით სცილდება კანონით დადგენილ ზღვარს, იხ. Lex Mundi Ltd, Pre-Merger Notification Survey, Huston, 2012, 1.

³² შეად. ევროპის საბჭოს 2004 წლის 20 იანვრის რეგულაცია № 139/2004 ეკონომიკურ აგენტთა შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ, OJ L 24/1, შემოკლებით: შერწყმების შესახებ რეგულაცია № 139/2004, 4(1) მუხლს.

შესაბამისი დასკვნა³³. თუმცა, საკანონმდებლო მოთხოვნების დაწესებასთან ერთად მნიშვნელოვანია მათი ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფაც.

არსებული საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ხარვეზების სრულყოფილი ანალიზის მიზნით, მიზანშეწონილია განცალკევებით განვიხილოთ ორი განსხვავებული ფაქტობრივი მოცემულობა:

ა. როდესაც შეტყობინების განხორციელების ვალდებულების მქონე სუბიექტი ამ ვალდებულებას ასრულებს და მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ კონკურენციის სააგენტოს დადგენილი წესით ატყობინებს;

ბ. როდესაც შეტყობინების განხორციელების ვალდებულების მქონე სუბიექტი მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ კონკურენციის სააგენტოსათვის შეტყობინების ვალდებულებას უგულვებელყოფს;

II. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხორციელების შემთხვევა

1. მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხილვის ვადა

ა. კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი

კონკურენციის შესახებ კანონის 11¹ მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს სააგენტოს მიერ შეტყობინების განხილვის ვადებს. როგორც აღინიშნა, იგი ვალდებულია 1 თვის ვადაში განიხილოს შეტყობინება, თუმცა, საქმის სირთულიდან გამომდინარე, ვადა შეიძლება 2 კვირით გაგრძელდეს. კანონი ვადის დინების შეჩერებას არ თვალისწინებს, მათ შორის არც იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარმდგენი პირის მიერ სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, არაა განსაზღვრული შესაბამისი ბაზარი ან მასზე მოქმედი კონკურენტი ეკონომიკური აგენტები³⁴. თუ

³³ ჯიბუტი ნ., ერთობლივი საწარმოს შექმნა - კონცენტრაციის სახე და თანმდევი პრობლემები, საქართველოს კონკურენციის სამართლის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზება, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, ნ. ხადურის რედაქტორობით, თბილისი, 2018, 7.

³⁴ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 9 ივნისის № 67 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება შპს „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯიას“ მიერ შპს „თბილცემენტ გრუპის“ სასაქონლო ბეტონის წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების (საოპერაციო

ამ ვადაში განმცხადებელს პასუხი არ ეცნობება, ეს დადებით პასუხად ჩაითვლება.

ბ. ევროკავშირის შერწყმის რეგულაცია

ევროკომისია კონცენტრაციის შესახებ შეტყობინებათა განხილვას ორ ეტაპად ახდენს. პირველადი მოკვლევა გრძელდება 25 სამუშაო დღის განმავლობაში. ვადა შეიძლება გაგრძელდეს 35 სამუშაო დღემდე, იმ შემთხვევაში თუ კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტები ევროკომისიას შესთავაზებენ გარკვეული ვალდებულებების აღებას, კომისიის მიერ კონცენტრაციის ეფექტურ კონკურენციასთან თავსებადობის დადგენის მიზნით³⁵.

პირველი ფაზის შემდგომ, კომისიას შეუძლია მიიღოს სამიდან ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

ა. დაადგინოს, რომ ტრანზაქცია არ ექცევა ევროკავშირის შერწყმის რეგულაციის სფეროში და განუხილველად დატოვოს იგი;

ბ. დაადგინოს, რომ კონცენტრაცია არ იწვევს სერიოზულ ეჭვებს შიდა ბაზართან თავსებადობის კუთხით (ამავე გადაწყვეტილებით, ევროკომისია განსაზღვრავს ზომებს, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა);

გ. დაადგინოს, რომ რომ კონცენტრაცია იწვევს სერიოზულ ეჭვებს შიდა ბაზართან თავსებადობის კუთხით და მიიღოს გადაწყვეტილება მოკვლევის მეორე ფაზაზე გაგრძელების შესახებ³⁶;

მოკვლევის მეორე ეტაპზე კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს ეძლევათ შესაძლებლობა წარმოადგინონ წერილობითი მასალები, დასაბუთება ასევე მონაწილეობა მიიღონ კომისიის მიერ გამართულ ზეპირ განხილვაში.

აქტივების) შექმნის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, 17.

³⁵ Parisi J. J., A Simple Guide to the EC Merger Regulation, Columbus, 2010, 7-8.

³⁶ Vogel L., Global Competition Law, A Practitioner's Guide, Paris, 2015, 72.

კომისია ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება შეტყობინებული კონცენტრაციის შესახებ, მეორე ეტაპის დაწყებიდან 90 სამუშაო დღის ვადაში³⁷.

კომისიის მიერ როგორც 25 ან 35 დღიანი ვადის, ისე 90 დღიანი ვადის გადაცილება დადებით პასუხად ჩაითვლება და ეკონომიკურ აგენტებს უფლება ექნებათ განახორციელონ შეტყობინებაში აღწერილი კონცენტრაცია³⁸.

გ. სხვა ქვეყნების კანონმდებლობა

თუკი შედარებისთვის თვალს გადავავლებთ, სხვა ქვეყნების მიდგომას, აღმოვაჩინებთ, რომ ფრანგული კანონმდებლობა მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხილვის პროცესს ევროკავშირის შერწყმის რეგულაციის მსგავსად ორ ფაზად ყოფს. პირველი ფაზა 25 სამუშაო დღის, ხოლო მეორე ფაზა შედგება კონცენტრაციის სიღრმისეული გაანალიზების 65 სამუშაო დღისა და დამატებით 25 დღისაგან, რომლის განმავლობაშიც, კომპეტენტურმა ორგანომ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს³⁹.

გერმანიაში, ფედერალური კარტელების ოფისი შეტყობინების მიღებიდან 1 თვის ვადაში, თუკი ეს საჭიროა, ატყობინებს ეკონომიკურ აგენტებს, მეორე ფაზის დაწყების შესახებ. ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება მხარეებს უნდა გადაეცეთ შეტყობინების განხორციელებიდან 4 თვის ვადაში⁴⁰.

დ. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

ცალსახაა, რომ ქართული კანონმდებლობა, ევროკავშირთან, ასევე საფრანგეთსა და გერმანიასთან შედარებით მოკლე ვადას გამოყოფს კონცენტრაციის განხილვისა და მის ეფექტიან კონკურენციასთან თავსებადობის დადგენისათვის. შესაძლოა, ამის მიზეზი, ქართული გეოგრაფიული ბაზრის პატარა მასშტაბებია. თუმცა, ამ მოსაზრებას აქარწყლებს ერთი მხრივ აშშ-ს, ხოლო მეორე მხრივ ესტონეთის მაგალითები.

³⁷ Parisi J. J., A Simple Guide to the EC Merger Regulation, Columbus, 2010, 8-9.

³⁸ იხ. ევროპის საბჭოს 2004 წლის 20 იანვრის რეგულაცია № 139/2004 ეკონომიკურ აგენტთა შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ, OJ L 24/1, შემოკლებით: შერწყმების შესახებ რეგულაცია № 139/2004, 10(6) მუხლი.

³⁹ French Competition Authority, Merger Control Guidelines, Paris, 2009, 46-60.

⁴⁰ The Legal 500 & The In-House Lawyer, Germany: Merger Control, Frankfurt, 2017, 12.

აშშ-ს კანონმდებლობით, კონცენტრაციათა შესახებ შეტყობინების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის განსაზღვრულია 30 დღე, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს, 30 დღით⁴¹. ისეთი პატარა ქვეყანა კი, როგორც ესტონეთია, შეტყობინების განხილვის პირველი ფაზისათვის 30 კალენდარულ დღეს, ხოლო მეორე ფაზისათვის 4 თვეს ითვალისწინებს⁴².

კიდევ ერთი მიზეზი, რამაც შესაძლოა შემჭიდროვებული საკანონმდებლო ვადების დაწესება გამოიწვია არის ბიზნესისათვის მისაღები, მოქნილი საკანონმდებლო ბაზისა და გარემოს შექმნა, მაგრამ რაოდენ მომხიბვლელიც არ უნდა იყოს ეს იდეა, მედალს ყოველთვის აქვს მეორე მხარე. შესაბამისად, სამართლიანად დგება საკითხი: უნდა მოხდეს თუ არა ბიზნესისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა ეფექტიანი კონკურენციისათვის სერიოზული საფრთხის შექმნის ხარჯზე?

ლიტერატურაში არცთუ უსაფუძვლოდაა გამოთქმული მოსაზრება, რომ კონკურენციის სააგენტომ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გამოიჩინა კონცენტრაციებისადმი. მის მიერ განხილული შეტყობინებიდან ყველა მათგანი მიჩნეულ იქნა კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად სააგენტოს მხრიდან რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე⁴³.

გარდა ამისა, ერთ-ერთ საქმეზე სააგენტომ არასწორად დაადგინა, რომ ეკონომიკური აგენტები, რომლებიც მონაწილეობდნენ კონცენტრაციაში არ წარმოადგენდნენ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს⁴⁴. სხვა შემთხვევაში, სააგენტო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო მხოლოდ ჰერფინდალ ჰერშმანის (HHI) ინდექსს. სააგენტომ მხედველობაში არ მიიღო „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის ქვეპუნქტებით განსაზღვრული სხვა რელევანტური გარემოებები (იგულისხმება კონცენტრაციაში ბაზარზე ცოტა ხნით ადრე შემოსული ეკონომიკური აგენტის მონაწილეობა, ასევე კონცენტრაციაში ისეთი ეკონომიკური აგენტის

⁴¹ Vogel L., *Global Competition Law, A Practitioner's Guide*, Paris, 2015, 628.

⁴² CMS, *Expert Guide to Merger Control in Europe Estonia*, London, 2014, 5.

⁴³ Menabdishvili S., *Main Practical and Legal Issues in Georgian Merger Regulation in the Context of EU-Georgian Association Agreement, EU Association Agreements With Georgia, Moldova And Ukraine: Through Cooperation Towards Integration*, Chişinău-Tbilisi-Chernivtsi, 2017, 228.

⁴⁴ Menabdishvili S., *Merger Control in Georgia – National Legislation and Case Law Review*, *Yearbook of Antitrust and Regulatory Studies* 9 (14), 2016, 185-190.

მონაწილეობა, რომელიც ხელს უშლის ბაზრის დანარჩენ სუბიექტებს შორის კოორდინირებული მოქმედებების განხორციელებას)⁴⁵.

ვფიქრობ, სააგენტოს დასკვნებში ამგვარი ხარვეზების არსებობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სწორედ გადაწყვეტილების მიღებისათვის შემჭიდროვებული ვადების არსებობით.

კონცენტრაციები ცვლის ბაზრის სტრუქტურას, მცირდება ბაზრის მოთამაშეთა რიცხვი, აქედან გამომდინარე, იზრდება კოორდინირებული ქმედებების განხორციელებისა და რელევანტურ პროდუქტზე/მომსახურებაზე ფასის მატების რისკი, ბაზარზე არსებული კონკურენცია აღარ აიძულებს ეკონომიკურ აგენტებს მუდმივად ეძებონ ინოვაციები და გააუმჯობესონ ხარისხი, რაც ცხადია მომხმარებლის კეთილდღეობაზე ნეგატიურად აისახება.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია მათ მიმართ ფრთხილი დამოკიდებულება. შეტყობინებისას ეკონომიკური აგენტების მიერ წარმოდგენილი მონაცემები საჭიროებს გადამოწმებას, მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ უმჯობესია ეცნობოთ და აზრის გამოთქმის საშუალება მიეცეთ ბაზაზე მოქმედ სხვა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებსაც.

თავად სააგენტოც, არაერთ დასკვნაში აღნიშნავს, რომ კანონით განსაზღვრული 1 თვიანი ვადა საკმარისი არ არის ბაზრის სათანადოდ შესწავლისა და დაგეგმილი კონცენტრაციის შესაფასებლად. სააგენტოს მითითებით, იგი იძულებული ხდება ან უარი თქვას კონცენტრაციაზე (რაც არსებითად ზღუდავს მეწარმე სუბიექტის უფლებებსა და სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებას) ან საერთოდ არ მიიღოს გადაწყვეტილება, რასაც კანონი ავტომატურად თანხმობის გაცემად მიიჩნევს⁴⁶.

⁴⁵ Menabdishvili S., Main Practical and Legal Issues in Georgian Merger Regulation in the Context of EU-Georgian Association Agreement, EU Association Agreements With Georgia, Moldova And Ukraine: Through Cooperation Towards Integration, Chişinău-Tbilisi-Chernivtsi, 2017, 229-231, ასევე შეად. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 28 დეკემბრის № 247 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება სს „ჯიპისი“-სა და სს „ეი-ბი-სი ფარმაცის“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

⁴⁶ იხ. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 9 ივნისის № 67 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება შპს „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯიას“ მიერ შპს „თბილცემენტ გრუპის“ სასაქონლო ბეტონის წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების (საოპერაციო აქტივების) შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, 16-17, ასევე იხ. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 7 მარტის № 32

კონცენტრაციები და მათ შედეგად ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მხოლოდ მომხმარებლთა ინტერესებისათვის როდია საზიანო. ოლიგოპოლიური ბაზარი ქმნის პოტენციური ეკონომიკური აგენტის ბაზარზე შესვლისათვის ბარიერებს, რომლის გადალახვა ბაზარზე ოპერირებს სურვილის მქონე დამწყები ბიზნესისათვის ხშირად შეუძლებელია. აქედან ცხადი ხდება, რომ კონცენტრაციათა შესახებ შეტყობინების განხილვის შემჭიდროვებული ვადები, რეალურად ბიზნესისათვის მისაღებ და მოქნილ გარემოს კი არ ქმნის, არამედ პირიქით, ახშობს ბიზნეს ინიციატივასა და სიახლეებს ბაზარზე.

კონცენტრაციათა მარეგულირებელი ნორმების ეფექტური აღსრულება შეუძლებელია თუ სააგენტოს არ ექნება გონივრული ვადა, რათა გადაწყვეტილების მიღებისას ისევე გაითვალისწინოს ყველა შესაძლო ფაქტორი და სიღრმისეულად გაანალიზოს კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგები, როგორც ამას ევროკომისია აკეთებს.

აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებება, რომელიც გაზრდის შეტყობინების განხილვის ვადებს და საშუალებას მისცემს სააგენტოს სათანადოდ გამოიკვლიოს ყველა მნიშვნელოვანი გარემოება, მხედველობაში მიიღოს ყველა რელევანტური ფაქტორი.

2. კონცენტრაციათა მატერიალურ-სამართლებრივი შეფასების პრობლემატიკა

ის, თუ რომელი მოსალოდნელი კონცენტრაცია უნდა აიკრძალოს და გამოცხადდეს სამართლიან კონკურენციასთან შეუთავსებლად, ცხადია კონცენტრაციათა კონკურენციულსამართლებრივი რეგულირების ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა ამ საკითხის გადასაწყვეტად სხვადასხვა ტესტს იყენებს.

ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება შპს „ალტა“-სა მიერ შპს „ევროტექნიკს ჯორჯია“-ს მიერ ერთობლივი საწარმოს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, 15.

ა. დომინანტობის ტესტი⁴⁷

პირველი რეგულაცია, რომელიც ევროკავშირმა მიიღო კონცენტრაციათა საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგების მიზნით, იყო ეკონომიკურ აგენტთა შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ ევროპის საბჭოს 1989 წლის 21 დეკემბრის №4064/89 რეგულაცია.

აღნიშნული რეგულაცია, კრძალავდა კონცენტრაციებს, რომლებიც ქმნიდნენ ან აძლიერებდნენ დომინანტურ პოზიციას, რომლის შედეგად ეფექტური კონკურენცია ევროკავშირის საერთო ბაზარზე არსებითად იზღუდებოდა.

დომინანტობის ტესტი ეყრდნობა ბაზრის სტრუქტურულ ანალიზს და სათავეს გერმანული ორდოლიბერალიზმის ეკონომიკურ თეორიაში იღებს. ორდოლიბერალიზმი ხაზს უსვამდა ბაზარზე ნებისმიერი დომინანტობის პრევენციის მნიშვნელობას⁴⁸. ამდენად, დომინანტობის ტესტი ამოწმებს საბაზრო წილებს, ეკონომიკური აგენტის სიდიდეს და ა.შ.⁴⁹

დომინანტობის ტესტის ინტერპრეტაციისას კონკურენციის სამართლის თეორიაში ორი მოსაზრება გამოიკვეთა.

პირველის თანახმად, კონცენტრაციის განხილვისას დომინანტური პოზიციის შექმნა ან გაძლიერება არის ერთადერთი საჭირო და ამავე დროს თვითკმარი წინაპირობა, რათა დადგინდეს, რომ კონცენტრაცია ევროკავშირის შიდა ბაზართან შეუთავსებელია⁵⁰.

მეორე მოსაზრების თანახმად, კი, დომინანტობის ტესტის საფუძველზე კონცენტრაცია ევროკავშირის შიდა ბაზართან შეუთავსებლად უნდა იქნეს გამოცხადებული, როდესაც (1) იგი დომინანტურ პოზიციას ქმნის ან აძლიერებს და (2) ამავდროულად კონცენტრაციის შედეგად ეფექტური კონკურენცია ევროკავშირის საერთო ბაზარზე არსებითად იზღუდება⁵¹. ამ შემთხვევაში,

⁴⁷ ინგლ. Dominance Test.

⁴⁸ Milne M., A Contextual analysis of the 2004 revisions to the substantive test for competitive harm in the EU Merger Regulation, *Dundee Student Law Review*, Vol III, No 3, 2016, 3.

⁴⁹ Fountoukakos K., Ryan S., A New Substantive Test For EU Merger Control, *European Competition Law review: a quarterly review*, Vol. 26, No 5, 2005, 289.

⁵⁰ Röller L-H., De la Mano M., The Impact of the New Substantive Test in European Merger Control, *European Competition Journal*, Vol. 2, No 1, 2006, 11.

⁵¹ Röller L-H., De la Mano M., The Impact of the New Substantive Test in European Merger Control, *European Competition Journal*, Vol. 2, No 1, 2006, 10.

კონცენტრაციის ანტიკონკურენციულად მიჩნევისა და მისი განხორციელების აკრძალვისათვის, დომინანტობის ტესტის მიხედვით, დასახელებული ორი წინაპირობა კუმულატიურია და საჭიროა ორივე მათგანის თანაარსებობა.

საქმეში *Air France v Commission*⁵² სასამართლომ აღნიშნა, რომ კომისიას მაშინ აქვს უფლება გამოაცხადოს კონცენტრაცია შიდა ბაზართან თავსებადად, თუ ის (1) არ ქმნის ან აძლიერებს დომინანტურ მდგომარეობას და ამავდროულად (2) თუ ის მნიშვნელოვნად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას დომინანტური მდგომარეობის შექმნით ან გაძლიერებით. თუმცა, ვინაიდან დომინანტური მდგომარეობის შექმნა ან გაძლიერება აუცილებელი წინაპირობაა, თუ კონცენტრაციის შედეგად არ ხდება მისი შექმნა ან გაძლიერება მაშინ ასეთი ტრანზაქცია ნებადართული უნდა იყოს, ეფექტიან კონკურენციაზე მისი შედეგების შეფასების საჭიროების გარეშე. იგივე მოსაზრება დაადასტურა სასამართლომ საქმეზე *Kaysersberg v Commission*⁵³.

დომინანტობის ტესტს რამდენიმე ნაკლი აქვს.

ერთი მხრივ, არის შემთხვევები, როდესაც საბაზრო წილმა შესაძლოა გადაჭარბებულად წარმოაჩინოს კონკრეტული კონცენტრაციის მნიშვნელობა. ამ ტესტის ფარგლებში, კონცენტრაციების მაკონტროლებელმა ორგანომ აქცენტი უნდა გააკეთოს ბაზრის სტრუქტურაზე და არა კონკურენტულ შედეგებზე. ეს მიდგომა კი ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია. ამავე დროს იგი იწვევს მეწარმეობის თავისუფლებაში გაუმართლებელ ჩარევას. დომინანტური მდგომარეობის შექმნის ან გაძლიერების მიუხედავად, კონცენტრაციამ შესაძლოა უფრო დაბალი ფასებისა და ინოვაციის მეშვეობით გააუმჯობესოს მომხმარებელთა მდგომარეობა⁵⁴.

მეორე მხრივ, დომინანტობის ტესტი ყურადღების მიღმა ტოვებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მართალია კონცენტრაციის შედეგად არ იქმნება

⁵² საქმე T-2/93 *Air France v Commission* [1994] ECR II-00323, პარ 79.

⁵³ საქმე T-290/94 *Kaysersberg v Commission* [1997] ECR II-2137, პარ 184.

⁵⁴ Röller L-H., De la Mano M., The Impact of the New Substantive Test in European Merger Control, *European Competition Journal*, Vol. 2, No 1, 2006, 12.

დომინანტური მდგომარეობა, თუმცა კონცენტრაცია სხვა გარემოებებთან შედეგად იწვევს ეფექტიანი კონკურენციის მნიშვნელოვნად შეფერხებას⁵⁵.

ვფიქრობ, სამართლიანად დაისვა საკითხი, რომ სხვა სამართლებრივ სისტემებში კონცენტრაციათა დასაშვებობის ბაზრის სტრუქტურულ ანალიზზე დაფუძნებული მიდგომის არაერთგზის დემონსტრირებული ნაკლოვანებების გათვალისწინებით, ეკონომიკურ აგენტთა შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ ევროპის საბჭოს 1989 წლის 21 დეკემბრის №4064/89 რეგულაციას კონცენტრაციათა საკითხის დასარეგულირებლად დომინანტობის ტესტი არ უნდა აერჩია⁵⁶.

მართლაც, დომინანტობის ტესტში ცვლილებათა განხორციელებამდე, ევროკომისია რამდენიმე პრობლემურ საქმეს წააწყდა. რამდენადაც შეუძლებელი იყო კონცენტრაციათა აკრძალვა თუკი მის შედეგად არ ხდებოდა დომინანტური მდგომარეობის მოპოვება ან მისი გაძლიერება, კომისია იძულებული იყო „კოლექტიური დომინანტობის“ ცნება შემოეღო. თუმცა, ცხადია, ამ ცნების ე.წ. რეზინის ნორმად ქცევა ვერ მოხდებოდა. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ 1998 წელს საქმეზე *France v Commission*⁵⁷, აღნიშნა, რომ კომისიას არ ჰქონდა საკმარისი სამხილი „კოლექტიური დომინანტობის“ სამტკიცებლად. მოგვიანებით, 2002 წელს, ფართო განმარტებების მცდელობისათვის ზღვარის დასადებად, *Airtours v Commission*⁵⁸ საქმეზე სასამართლომ განსაზღვრა კონკრეტული წინაპირობები, რომელთა არსებობისასაც შესაძლებელი გახდებოდა „კოლექტიური დომინანტობის“ კრიტერიუმის გამოყენება. ამ პრეცედენტების შემდეგ, ცვლილების აუცილებლობა მით უფრო ცხადი გახდა.

ბ. კონკურენციის მნიშვნელოვნად შემცირების ტესტი⁵⁹

კონცენტრაციის დასაშვებობის საკითხის მის შედეგებზე დაფუძნებული ანალიზის იდეა ჩიკაგოს ნეოკლასიკურ ეკონომიკურ სკოლაში წარმოიშვა. იგი ყურადღებას ამახვილებს არა ბაზრის სტრუქტურაზე, არამედ კონცენტრაციის

⁵⁵ Monti G., *The New Substantive Test in the EC Merger Regulation – Bridging the Gap Between Economics and Law?*, LSE Law, Society and Economy Working Papers, London, 2008, 6-7.

⁵⁶ Milne M., *A Contextual analysis of the 2004 revisions to the substantive test for competitive harm in the EU Merger Regulation*, Dundee Student Law Review, Vol III, No 3, 2016, 9.

⁵⁷ საქმე C-68/94 *France v Commission* [1998] ECR I-1375, პარ 271.

⁵⁸ საქმე T-342/99 *Airtours v Commission* [2002] ECR II-2585, პარ 62.

⁵⁹ინგლ. SLC Test.

შედეგებზე. ეს საშუალებას აძლევს კონცენტრაციის საკითხის განმხილველ ორგანოს მხედველობაში მიიღოს კონცენტრაციის ეფექტები, რომელთა უზღუდვებელყოფა მცდარ შედეგებამდე მიგვიყვანდა⁶⁰.

კლეიტონის აქტის მეშვიდე სექციის თანახმად, ვაჭრობაში ან ვაჭრობაზე გავლენის მქონე საქმიანობაში ჩართულმა არც ერთმა პირმა არ უნდა მოიპოვოს (პირდაპირ თუ ირიბად), მთლიანად ან ნაწილობრივ აქცია ან კაპიტალის სხვაგვარი წილი, ასევე ფედერალური სავაჭრო კომისიის იურისდიქციის ქვეშ მყოფმა არც ერთმა პირმა არ უნდა მოიპოვოს მთლიანად ან ნაწილობრივ ვაჭრობაში ან ვაჭრობაზე გავლენის მქონე საქმიანობაში ჩართული სხვა პირის აქტივები, იმ შემთხვევაში, თუ ამ შეძენის შედეგი ვაჭრობაზე ან ვაჭრობაზე გავლენის მქონე საქმიანობაზე ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში შესაძლოა იყოს კონკურენციის მნიშვნელოვნად შემცირება ან მონოპოლიის შექმნა.

აშშ-ში კამათი კონცენტრაციის ეფექტებზე დაფუძნებული ანალიზის უპირატესობაზე ბაზრის სტრუქტურული ანალიზის მეთოდთან მიმართებით მრავალწლიან ისტორიას ითვლის. ჯერ კიდევ 1963 წელს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაამკვიდრა პრეზუმფცია, რომ შერწყმა, რომლიც შეეხებოდა ბაზრის მნიშვნელოვან წილს, უკანონო იყო⁶¹. მოსამართლე სტიუარტმა ერთ-ერთ საქმეზე⁶² გააკრიტიკა ბაზრის სტრუქტურაზე დამყარებული ანალიზის მეთოდი. 8 წლის შემდეგ, უკვე უმრავლესობაში მყოფმა იმავე მოსამართლემ, განმარტა: მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო წილი უაღრესად რელევანტურია, იგი მაინც არაა გადამწყვეტი⁶³. აშშ-ს სამართალი, ამჟამად კონცენტრაციათა შეფასებისთვის კონკურენციის მნიშვნელოვნად შემცირების ტესტს იყენებს.

კონკურენციის მნიშვნელოვნად შემცირების ტესტის თანახმად, კონცენტრაციას აქვს ანტი-კონკურენციული შედეგები თუ იგი მნიშვნელოვნად შეამცირებს კონკურენციას ბაზარზე. დომინანტობის ტესტისაგან განსხვავებით, იგი ნაკლებადაა ორიენტირებული ბაზრის სტრუქტურულ საკითხებზე. ეს უკანასკნელი აქცენტს აკეთებს არსებული კონკურენციიდან გამომდინარე

⁶⁰ Röller L.-H., De la Mano M., The Impact of the New Substantive Test in European Merger Control, European Competition Journal, Vol. 2, No 1, 2006, 17.

⁶¹ *United States v Philadelphia Nat'l Bank*, 374 U.S. 321 (1963).

⁶² *United States v Von's Grocery Co*, 384 U.S. 270 (1966).

⁶³ *United States v General Dynamics Co*, 415 U.S. 486 (1974).

წნეხზე, კონცენტრაციის შესაძლო გავლენასა და კონცენტრაციის შემდგომ ეკონომიკურ აგენტთა ხელში არსებულ საბაზრო ძალაუფლებაზე⁶⁴.

გ. ეფექტიანი კონკურენციის მნიშვნელოვნად შეფერხების ტესტი⁶⁵

ეკონომიკურ აგენტთა შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ ევროპის საბჭოს 1989 წლის 21 დეკემბრის №4064/89 რეგულაცია და დომინანტობის ტესტი, ევროსაბჭოს 2004 წლის რეგულაციით ჩანაცვლდა. ევროკავშირის შერწყმის რეგულაციით ამჟამად აკრძალულია კონცენტრაცია, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს ეფექტიან კონკურენციას ევროკავშირის საერთო ბაზარზე, განსაკუთრებით, დომინანტური მდგომარეობის შექმნის ან გაძლიერების შედეგად.

სიტყვათა წყობის ამგვარად ჩამოყალიბებით, აქცენტი დომინანტური მდგომარეობიდან ეფექტიანი კონკურენციის მნიშვნელოვნად შეფერხებაზე გადავიდა. ეფექტიანი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეფერხებს ტესტმა ევროკომისიის კომპეტენცია დომინანტობის კონცეფციის მიღმა გააფართოვა. დომინანტური მდგომარეობის შექმნა ან გაძლიერება კონცენტრაციის აკრძალვის აუცილებელი წინაპირობა აღარაა. ახალი ტესტი ყურადღებას ამახვილებს კონცენტრაციის შედეგების ანალიზზე კონკურენციული გარემოსათვის საფრთხის შექმნის კუთხით.

ეფექტიანი კონკურენციის მნიშვნელოვნად შეფერხების ტესტი შესაძლებელს ხდის კონცენტრაციის შესაძლო ანტიკონკურენციული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით აკრძალოს კონცენტრაციები, რომლებიც თუმცა არ ქმნიან ან აძლიერებენ დომინანტურ პოზიციას, მაგრამ შედეგად იძლევიან არაკორდინირებულ ეფექტებს. მაშასადამე, ისეთ შემთხვევები, როდესაც კონცენტრაციის შედეგად წარმოქმნის ეკონომიკური აგენტი თავს აღწევს კონკურენციის „წნეხს“ ეძლევა შესაძლებლობა დამოუკიდებლად გამოიყენოს საბაზრო ძალაუფლება და ზიანი მიაყენოს კონკურენტულ გარემოს, მაგალითად, ფასების ხელოვნური მატებით⁶⁶.

⁶⁴ OECD, Directorate for Financial and Enterprise Affairs Competition Committee, The Standard for Merger Review, with a Particular Emphasis on Country Experience with the Change of Merger Review Standard from the Dominance test to the Slc/Siec Test, Paris, 2009, 16.

⁶⁵ ინგლ. SIEC Test.

⁶⁶ Fountoukakos K., Ryan S., A New Substantive Test For EU Merger Control, European Competition Law review: a quarterly review, Vol. 26, No 5, 2005, 290.

ეფექტიანი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეფერხების ტესტის ქულაქვეშ ევროკომისიას ეძლევა შესაძლებლობა შეაფასოს როგორ იმოქმედებს კონცენტრაცია ფასებზე, წარმოებაზე და ბაზრისათვის მნიშვნელოვან სხვა ფაქტორებზე, მათ შორის, ხომ არ იზრდება ბაზრის მონაწილეთა მხრიდან შეთანხმებული ქმედების, კოორდინირებული ყოფაქცევის რისკი.⁶⁷

ეფექტიანი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეფერხების კრიტერიუმი ძველი ტესტის ნაწილიც იყო, თუმცა, პრაქტიკულად კონცენტრაციის აკრძალვა შესაძლებელი იყო მხოლოდ ბაზრის სტრუქტურულ მონაცემებზე დაყრდნობით. ახალი ტესტი პირდაპირ აქცენტს აკეთებს იმ ძირითად ეკონომიკურ საკითხზე რაც კონცენტრაციის შედეგად ისმება - შემცირდება თუ არა კონკურენცია? ამდენად, დოქტრინაში ცვლილება კონკურენციის სამართლისადმი კომისიის „უფრო მეტად ეკონომიკურ მიდგომის“ ნაწილადაა აღქმული⁶⁸. ამ მიდგომამ შეფასების პროცესში შემოიტანა კონცენტრაციის ეფექტიანობის (სარგებლიანობის) ფაქტორი და ეკონომიკურ თეორიებზე დამყარებული სახელმძღვანელო მითითებები, შეამცირა კონცენტრაციათა მექანიკური აკრძალვის შემთხვევები.

ეფექტიანი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეფერხების ტესტის შემოღებიდან მცირე ხნის შემდეგ, კონკურენციის სამართლის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ერთპიროვნული თუ კოლექტიური დომინირებული მდგომარეობა კვლავ რჩება კონკურენციული გარემოსათვის საფრთხის შემქმნელი კონცენტრაციების განსაზღვრის ფუძემდებლურ კრიტერიუმად. ტესტის ცვლილებიდან მცირე ხნის შემდეგ, 23 განხილული კონცენტრაციიდან, 18-ის აკრძალვა მოხდა ერთპიროვნული/კოლექტიური დომინირებული მდგომარეობის შექმნის საფუძვლით. თუმცა, აქვე უნდა ვახსნოთ „*Total/Gaz de France*“, ეს ერთ-ერთი პირველი საქმეა, სადაც კონცენტრაცია აიკრძალა წარმოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოწყობილობებზე დაშვების შეფერხების საფუძვლით და ამ გადაწყვეტილებაში დომინანტური მდგომარეობა ნახსენებიც კი არაა⁶⁹.

ახლა, როდესაც ეფექტიანი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეფერხების კრიტერიუმი კონცენტრაციათა შეფასებისას გადამწყვეტია, ხოლო დომინანტური მდგომარეობის შექმნა ან გამლიერება მისი ერთ-ერთი

⁶⁷ Röller L-H., De la Mano M., The Impact of the New Substantive Test in European Merger Control, European Competition Journal, Vol. 2, No 1, 2006, 8.

⁶⁸ Cottyn A.S., EU merger control after the reform: more economics, but still more than economics, Ghent, 2017, 4-5.

⁶⁹ Röller L-H., De la Mano M., The Impact of the New Substantive Test in European Merger Control, European Competition Journal, Vol. 2, No 1, 2006, 15. ასევე იხ. *Total/Gaz de France* (საქმე COMP/M.3410) ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება [2004] OJ C 215/08.

გამოვლინება, ლოგიკურია, იბადება კითხვა: არის თუ არა შესაძლებელი, რომ კონცენტრაცია მიუხედავად დომინანტური მდგომარეობის შექმნის ან გაძლიერებისა მნიშვნელოვნად არ აფერხებდეს ეფექტიან კონკურენციას?

მიუხედავად იმისა, რომ ტესტის სიტყვასიტყვითი განმარტება, შესაძლოა ამ მოსაზრებას მხარს უჭერდეს, საკითხისათვის ნათელის მოფენის მიზნით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ 2009 წელს ორგანიზებული მრგვალი მაგიდის ამსახველ მასალებს უნდა გავეცნოთ. დოკუმენტი ეფექტიანი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეფერხების ტესტს დომინანტობის ტესტისა და კონკურენციის მნიშვნელოვანი შემცირების ტესტის ნაზავად განიხილავს⁷⁰. ამავე მოსაზრებას ავითარებდა სამართლის თეორია, ეფექტიანი კონკურენციის მნიშვნელოვნად შეფერხების ტესტის შემოღებისთანავე. დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომ პირველად განიხილება უფრო სპეციალური, ხოლო ამის შემდგომ ზოგადი ნორმა. ამდენად, შერწყმებზე ზედამხედველობისას, პირველ რიგში შემოწმდება ხომ არ ქმნის ან აძლიერებს იგი დომინანტურ მდგომარეობას. ამ უკანასკნელი გარემოების დადგენა, იძლევა საშუალებას ზოგადად პრეზუმირებულ იქნას, რომ ეფექტიანი კონკურენცია ამ შერწყმის შედეგად მნიშვნელოვნად შეიზღუდება⁷¹.

მამასადამე, ცალკე აღებული დომინანტური მდგომარეობის შექმნის ან გაძლიერების ფაქტი საკმარისია კონცენტრაციის აკრძალულად გამოცხადებისათვის. გარდა იმ შემთხვევისა, თუ დომინანტური მდგომარეობის შექმნა ან გაძლიერება „გადაწონილი“ არ არის შერწყმის დადებითი ეფექტებით⁷².

მიუხედავად ამისა, 2006 წლის მდგომარეობით ევროკომისიის პრაქტიკაში არ ყოფილა დაფიქსირებულა შემთხვევა, როდესაც კომისიამ მიიჩნია, რომ დომინანტური მდგომარეობის შექმნა ან გაძლიერება არასაკმარისია კონცენტრაციის აკრძალვისათვის⁷³. მით უმეტეს, რომ დოქტრინაში, კონცენტრაციათა კონტროლის გზით წინასაწარ დომინანტი პოზიციის შექმნის

⁷⁰ OECD, Directorate for Financial and Enterprise Affairs Competition Committee, The Standard for Merger Review, with a Particular Emphasis on Country Experience with the Change of Merger Review Standard from the Dominance test to the Slc/Siec Test, Paris, 2009, 16.

⁷¹ Riesenkampff A., New E.C. Merger Control Test under Article 2 of the Merger Control Regulation, The Symposium on European Competition Law, Northwestern Journal of International Law & Business, Vol 24, issue 3 spring, 2004, 726-727.

⁷² დეტალურად იხ. ევროპის საბჭოს 2004 წლის 20 იანვრის რეგულაცია № 139/2004 ეკონომიკურ აგენტთა შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ, OJ L 24/1, შემოკლებით: შერწყმების შესახებ რეგულაცია № 139/2004, დეკლარაციული ნაწილის 29-ე პუნქტი. ასევე ევროპის საბჭოს 2004 წლის 5 თებერვლის ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები, OJ C 31/03, 76-ე პუნქტი.

⁷³ Röller L-H., De la Mano M., The Impact of the New Substantive Test in European Merger Control, European Competition Journal, Vol. 2, No 1, 2006, 25-26.

ან გაძლიერების აკრძალვა განხილულია, როგორც მისი ბოროტად გამოყენების სამომავლო ფაქტების პრევენცია. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მოკვლევა ხანგრძლივი და რთული პროცესია. ამდენად, ითვლება, რომ კონცენტრაციის გზით დომინანტობის დაშვება და დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების შემდგომ, რეგულირებაზე ყურადღების გამახვილება – არც ისე ეფექტიანია⁷⁴.

შეიძლება ითქვას, რომ მართალია დომინანტობის კრიტერიუმი კვლავ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს კონცენტრაციათა სამართლებრივი ბედის გადაწყვეტაში, თუმცა, ევროკომისიის მიერ კონცენტრაციათა ანალიზის პროცესმა შედეგებზე დაფუძნებული მიდგომისაკენ გადაინაცვლა.

დ. ქართული სამართლის არჩევანი

კონცენტრაციის მატერიალურ-სამართლებრივი შეფასების ტესტების გაანალიზებისა და მათი დადებითი თუ უარყოფითი მხარეების ხაზგასმის შემდგომ, საინტერესოა, განხილულ იქნას, თუ რომელი მათგანი აირჩია ქართულმა სამართალმა.

კონკურენციის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგია დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება, თავსებადია ნორმალურ კონკურენტულ გარემოსთან.

ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგია დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება, დაუშვებელია.

ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ასევე კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №30/09-4-ით დამტკიცებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, რომლებიც შემდეგნაირად ჟღერს:

⁷⁴ Whish R., Bailey D., Competition Law, New York, 2012, 860.

ა) თუ სააგენტო დაადგენს, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტურ კონკურენციას ქვეყნის სასაქონლო/მომსახურების ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე, იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობასთან დაკავშირებით;

ბ) თუ სააგენტო დაადგენს, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად ზღუდავს ეფექტურ კონკურენციას საქართველოს (ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის) სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგად დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება, იღებს გადაწყვეტილებას მისი დაუშვებლობის/აკრძალვის შესახებ;

კონკურენციის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ქართული კონკურენციის სამართალი უშვებს ისეთი კონცენტრაციების განხორციელების შესაძლებლობას რომლებიც არსებითად არ ზღუდავენ ეფექტიან კონკურენციას, მაგრამ ქმნიან ან აძლიერებენ დომინანტურ მდგომარეობას. ამ პოზიციას ამყარებს კონკურენციის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტი. იგი უფლებამოსილებას ანიჭებს სააგენტოს ეკონომიკურ აგენტს, რომელიც კონცენტრაციის შედეგად დომინირებულ მდგომარეობას მოიპოვებს, მოსთხოვოს გარკვეული პერიოდულობით იმ გარიგების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეზღუდოს კონკურენცია შესაბამის ბაზარზე.

ქართული სამართლის ზემოთხსენებული მიდგომა არაეფექტურია. როგორც აღინიშნა, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევების მოკვლევა დიდ დროსა და რესურსს მოითხოვს. ამ კუთხით დომინანტური მდგომარეობის წარმოქმნის ან გამყარების საწინააღმდეგოდ კონცენტრაციათა აკრძალვა, შემდგომში მისი ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მნიშვნელოვანი პრევენციული მექანიზმია.

კიდევ ერთი ხარვეზი, რაც ქართული რეგულირებისთვისაა დამახასიათებელი, კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტში ვლინდება. ნორმა ეფექტიანი კონკურენციის არსებითად შეზღუდვასა და დომინირებული მდგომარეობის მოპოვება/გაძლიერებას კუმულატიურ წინაპირობებად განიხილავს. მაშასადამე, ქართული კონკურენციის სამართალი კრძალავს მხოლოდ ისეთ კონცენტრაციებს, რომლებიც არსებითად ზღუდავენ ეფექტიან კონკურენციას და ამავდროულად ქმნიან ან აძლიერებენ დომინანტურ მდგომარეობას.

მოწესრიგების სფეროს მიღმა რჩება ისეთი კონცენტრაციები, რომლებიც თუმცა არ ქმნიან ან აძლიერებენ დომინანტურ მდგომარეობას, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით მაინც არსებითად ზღუდავენ ეფექტიან კონკურენციას.

კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი მიზანი, სწორედ ეფექტიანი კონკურენციის შენარჩუნება და ამ გზით მომხმარებელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. თუკი, კანონი კონცენტრაციების განხორციელების გზით ეფექტიანი კონკურენციის მნიშვნელოვნად შეზღუდვას უშვებს, კონკურენციის სამართლის მიზნები მიულწეველია.

დომინანტური მდგომარეობის მოპოვების ან გაძლიერების ფაქტის კონცენტრაციის აკრძალვის აუცილებელ წინაპირობად დადგენა თავის მხრივ დამოუკიდებელი პრობლემაა. კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განმარტავს, რომ თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40%-ს არ აღემატება. სააგენტოს მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საკითხებზე წარმოებულ მოკვლევებში გამოკვეთილი ტენდენციით, სააგენტო, დაადგენს რა, რომ ეკონომიკური აგენტის/აგენტების წილი ბაზარზე 40%-ს არ აღემატება, დომინანტური მდგომარეობის არსებობის მიმანიშნებელ სხვა მტკიცებულებებს არ იკლევს, მათზე აღარ მსჯელობს. გამოდის, რომ დომინანტური მდგომარეობის დადგენაც, ქართულ რეალობაში პრაქტიკულად მხოლოდ ბაზრის სტრუქტურულ ანალიზს ეფუძნება.

არსებითად, კანონის ლოგიკას მიყვება კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებიც.

საკანონმდებლო ბაზის ანალიზის შედეგად, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართული სამართლის თანახმად, ცალკე აღებული არც დომინანტური მდგომარეობის შექმნა ან გაძლიერება (1) და არც ეფექტიანი კონკურენციის არსებითად შეზღუდვა (2) არ არის საკმარისი წინაპირობა კონცენტრაციის აკრძალვისათვის. საჭიროა ორივე მათგანის თანაარსებობა.

ე. კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკა

კონცენტრაციების საკითხთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილების მოძიება ვერც უზენაესი სასამართლოს და ვერც სხვა საძიებო სისტემებში⁷⁵ ვერ მოხერხდა. მაგრამ, საინტერესოა, თუ როგორ ხორციელდება ეკონომიკურ აგენტებს შორის კონცენტრაციათა კონტროლი კონკურენციის შესახებ კანონის შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოს - კონკურენციის სააგენტოს მიერ.

აა. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია

სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის, შესახებ ინფორმაციის მისაღებად უნდა გამოვიკვლიოთ სააგენტოს ყოველწლიური ანგარიშები⁷⁶. ამჟამად, სულ ოთხი ასეთი ანგარიში არსებობს (2014-2017 წლები), ხოლო 2018 წლის ანგარიში ჯერჯერობით კონკურენციის სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული არ არის.

კონკურენციის სააგენტო 2014 წელს შეიქმნა⁷⁷, ამ წელს მას კონცენტრაციებთან დაკავშირებით შეტყობინება ან განცხადება არ განუხილავს.

რაც შეეხება 2015 წელს, სააგენტომ განიხილა სამი შეტყობინება მოსალოდნელი, ხოლო ერთი განცხადება უკვე განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ⁷⁸. მათგან ორი კონცენტრაცია სააგენტოს მიერ ეფექტიან კონკურენციასთან თავსებადად იქნა მიჩნეული. ერთ შემთხვევაში, სააგენტომ დაადგინა, რომ კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს საერთოდ არ ეკისრებოდათ შეტყობინების ვალდებულება. რაც შეეხება განცხადებას უკვე განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ, იგი კონკურენციის სააგენტოში წარადგინა ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრმა“, მოითხოვა წილის შეძენის კანონიერებისა და მისი კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის განხილვა⁷⁹. განცხადების

⁷⁵ იგულისხმება შემდეგი საძიებო სისტემები: <<http://info.court.ge/Login.aspx>>, <<http://library.court.ge>>, <<http://temida.mylaw.ge>>.

⁷⁶ ხელმისაწვდომია: <<http://competition.ge/ge/page3.php?i=152&v=155>> [29.06.2019].

⁷⁷ მაისურაძე დ., სულხანიშვილი ე., ვაშაკიძე გ., ევროკავშირის კერძო სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, თბილისი, 2018, 179.

⁷⁸ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2016, 11; იხ. <<http://competition.ge/ge/page3.php?i=152&v=155>> [29.06.2019].

⁷⁹ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2016, 31; იხ. <<http://competition.ge/ge/page3.php?i=152&v=155>> [29.06.2019].

განხილვა მომდევნო, 2016 წელს დასრულდა, რის შესახებაც დეტალური მსჯელობა ნაშრომის მესამე ნაწილის მესამე თავში მოხდება.

2016 წლის ბოლოსთვის კონკურენციის სააგენტოს დაარსებიდან სულ კონცენტრაციის 6 შეტყობინება ჰქონდა განხილული⁸⁰.

უშუალოდ 2016 წელს, სააგენტომ განიხილა მოსალოდნელი კონცენტრაციის 3 შეტყობინება და დაასრულა განხორციელებული კონცენტრაციის თაობაზე 1 განცხადების განხილვა⁸¹. აქედან, სამივე შეტყობინება კონკურენციის სააგენტომ კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად მიიჩნია, თუმცა ერთ შემთხვევაში, მან ეკონომიკურ აგენტს, როგორც დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტს, სააგენტოში ყოველწლიური ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება დაეკისრა⁸².

2017 წლის განმავლობაში, კონკურენციის სააგენტომ განიხილა მოსალოდნელი კონცენტრაციის 2 შეტყობინება. ორივე მათგანის განხორციელებაზე სააგენტომ თანხმობა გასცა, ვინაიდან ისინი არ ზღუდავდნენ ეფექტიან კონკურენციას⁸³.

როგორც ვხედავთ, 2017 წლის მონაცემებით, სააგენტოს სულ განხილული ჰქონდა, კონცენტრაციის შესახებ რვა შეტყობინება. სტატისტიკა შთამბეჭდავი არ არის.

ერთი მხრივ, შესაძლოა ამის განმპირობებელ მიზეზად მივიჩნიოთ, ის რომ სააგენტოს არ აქვს უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით დაიწყოს შეტყობინების გარეშე განხორციელებული ან მიმდინარე კონცენტრაციის კონკურენციის სამართალთან შესაბამისობის განხილვა.

მეორე მხრივ, ამ მოსაზრებას გარკვეულწილად აქარწყლებს ის, რომ კანონში 2014 წელს შესული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად სააგენტოს შეუძლია თავისი ინიციატივითაც დაიწყოს მოკვლევა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების,

⁸⁰ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2017, 3; იხ. <<http://competition.ge/ge/page3.php?i=152&v=155>> [29.06.2019].

⁸¹ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2017, 5; იხ. <<http://competition.ge/ge/page3.php?i=152&v=155>> [29.06.2019].

⁸² სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2017, 13-15; იხ. <<http://competition.ge/ge/page3.php?i=152&v=155>> [29.06.2019].

⁸³ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2018, 18-19; იხ. <<http://competition.ge/ge/page3.php?i=152&v=155>> [29.06.2019].

გადაწყვეტილების და შეთანხმებული ქმედების განხორციელების ფაქტებზე⁸⁴. თუმცა, კონკურენციის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ, 2014 წლიდან 2019 წლის იანვრამდე, საკუთარი ინიციატივით განახორციელა სულ 4 მოკვლევა⁸⁵.

ბბ. სააგენტოს გადაწყვეტილებებში გამოყენებული მატერიალურ-სამართლებრივი შეფასების ტესტი

სსიპ კონკურენციის სააგენტომ 2016 წელს, სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფსა“ და სს „ჯიპისის“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, საბოლოო შეფასებაში, მიუთითა: „არსებობს გარკვეული რისკები, ბაზრებზე უარყოფითი ჯვარედინული ეფექტების მიღების თვალსაზრისით, ვინაიდან სს „იმედი ელ“-ი (რომლის 100%-იანი წილის მესაკუთრეა სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“) სადაზღვევო ბაზრის დომინირებული ეკონომიკური აგენტია. სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ ფლობს უმსხვილეს სამედიცინო დაწესებულებებს (მათ შორის სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“), სადაზღვევო კომპანიას და ამავე დროს იძენს ფარმაცევტულ კომპანიასაც. სს „იმედი ელ“-ი სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ უმსხვილესი მომხმარებელია. ხოლო სს „ჯიპისი“ სს „იმედი ელ“-ის ყველაზე მსხვილი კონტრაქტორია⁸⁶.”

ამის მიუხედავად, სააგენტომ მოსალოდნელი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ჩათვალა, იმ დასაბუთებით, რომ ბაზარი ზომიერად კონცენტრირებული იყო და არ დაფიქსირებულა წარსულში ამ სუბიექტებს შორის რაიმე შეთანხმებული ქმედება ან სხვაგვარი ურთიერთხელშეწყობა. სს „იმედი ელ“-ს, დაევალა სააგენტოსათვის ყოველი მომდევნო წლის იანვრის თვის

⁸⁴ მენაბდიშვილი ს., საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან (ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად), თბილისი, 2018, 50.

⁸⁵ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2019 წლის 28 იანვრის წერილი № 02/49, 1.

⁸⁶ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 28 აპრილის № 57 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფსა“ და სს „ჯიპისის“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, 66-67.

ბოლომდე წარედგინა ინფორმაცია იმ გარიგებების შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეზღუდოს კონკურენცია შესაბამის ბაზარზე⁸⁷.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფსა“ და სს „ჯიპისის“ შორის განხორციელებული კონცენტრაციით სს „იმედი ელ“-ის დომინანტური მდგომარეობა კიდევ უფრო მყარდებოდა. თუმცა, ეს კონკურენციის სააგენტოსათვის არ გახდა კონცენტრაციის განხორციელებაზე უარის თქმის ან ეკონომიკური აგენტებისაგან კონცენტრაციის მოდიფიკაციის მოთხოვნის საფუძველი.

უფრო მეტიც, სსიპ კონკურენციის სააგენტომ 2015 წელს ნება დართო სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსს“ შეეძინა შპს „გნ კო“-ს 50%-იანი წილი, მაშინ, როდესაც მისი შედეგი სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ მიერ ნეიროქირურგიული მომსახურების ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მოპოვება იყო⁸⁸. სააგენტომ არ აკრძალა კონცენტრაციის განხორციელება, არ მოითხოვა მისი პირობების შეცვლა, არამედ შემოიფარგლა სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსისათვის“ შესაბამის ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდავი გარიგებების შესახებ, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დაწესებით⁸⁹.

მოყვენილი მაგალითების საფუძველზე, რამდენიმე დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი:

პირველი, ისევე როგორც ქართული კანონმდებლობის, კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკის ანალიზიც აჩვენებს, რომ ცალკე აღებული დომინანტური მდგომარეობის შექმნა ან გაძლიერება კონცენტრაციის აკრძალივისათვის საკმარის წინაპირობად არ მიიჩნევა. სააგენტო დომინანტური მდგომარეობის

⁸⁷ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 28 აპრილის № 57 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფსა“ და სს „ჯიპისის“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, 67-68.

⁸⁸ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2015 წელს 28 ივლისის ბრძანება N 95-ით დამტკიცებული გადაწყვეტილება სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ მიერ შპს „გნ კო“-ს 50%-იანი წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, 51-52.

⁸⁹ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2015 წელს 28 ივლისის ბრძანება N 95-ით დამტკიცებული გადაწყვეტილება სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ მიერ შპს „გნ კო“-ს 50%-იანი წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, 55.

შექმნის ან გაძლიერების ფაქტს კონცენტრაციის აკრძალვის საფუძვლად არ განიხილავს. ამასთან, სააგენტო თავისი დასკვნებით დომინირებული მდგომარეობის შემქმნელი კონცენტრაციების დაშვებას, საფუძვლიანად ვერც ამ კონცენტრაციათა განხორციელების შედეგად ბაზრისა და მომხმარებლებისათვის მოსალოდნელი დადებითი ეფექტებით ამყარებს.

მეორე, ხარვეზია ისიც, რომ კონკურენციის სააგენტოს კანონი არ ანიჭებს უფლებამოსილებას გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები (იგულისხმება ბიზნესის ნაწილის გასხვისება (სტრუქტურულსამართლებრივი დაცვის საშუალება), ასევე ე.წ. „ქცევითი“ და კვაზიქცევითი სამართლებრივი დაცვის საშუალებები, როგორცაა არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა, სხვა ისეთი საშუალებების გამოყენება, რომელიც ბაზარზე შესვლას გაამარტივებს) ან მოითხოვოს კონცენტრაციის მოდიფიკაცია ეკონომიკური აგენტებისაგან.

ამას კი არსებულ რეალობამდე მივყავართ. სააგენტო ვერ კრძალავს კონცენტრაციას, ვერ ითხოვს მის შეცვლას მონაწილე სუბიექტებისაგან და ვერც სამართლებრივი დაცვის საშუალებებს იყენებს.

ლიტერატურაში, კონცენტრაციის გზით დომინანტური მდგომარეობის შექმნის დაშვება სამართლიანადაა აღქმული საკანონმდებლო ხარვეზად. ასეთი კონცენტრაციები აკრძალული უნდა იყოს, რადგან იმ პირობებში, როდესაც სააგენტოს კანონმდებლობა არ ანიჭებს ეფექტიან სამართლებრივ ბერკეტებს, დომინანტობის მოპოვების შემდეგ მას ცხადია გაუჭირდება კონკურენტული გარემოს შენარჩუნება და ამ მიზნით რელევანტური ზომების მიღება⁹⁰. მით უმეტეს, რომ როგორც აღინიშნა, სააგენტოს კანონით არც სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების უფლებამოსილება არ აქვს.

სიტუაციიდან გამოსავალი, ცხადია მხოლოდ და მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებაა, რომელიც, ერთი მხრივ, აკრძალავს დომინანტური მდგომარეობის შექმნას ან გაძლიერებას კონცენტრაციების გზით, თუ მისი დაშვება საფუძვლიანად არაა დასაბუთებული ბაზრისა და მომხმარებლებისათვის მოსალოდნელი დადებითი ეფექტებით. ხოლო, მეორე მხრივ, მიაჩნება

⁹⁰ მენაბდიშვილი ს., ქართული კონცენტრაციის რეგულირებაში ძირითადი საკანონმდებლო ხარვეზები, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, ნ. ხადურის რედაქტორობით, თბილისი, 2017, 174.

სააგენტოს უფლებამოსილებას მოითხოვოს კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტებისაგან კონცენტრაციის მოდიფიკაცია ან გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები.

III. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების ვალდებულების უგულვებელყოფის შემთხვევა

მატერიალური ნორმებით მინიჭებული უფლებები, მათ მიერ დაკისრებული ვალდებულებები, ისევე როგორც დაწესებული აკრძალვები, აზრს კარგავს, თუკი არ არსებობს ამ უფლებათა დაცვის, ვალდებულებათა შესრულების სამართლებრივი იძულებისა და აკრძალვის დარღვევის გამო სანქციის დაკისრების შესაძლებლობა.

იძულება სამართლის ერთ-ერთი ნიშანია⁹¹. სამართლის აღსრულება არის საზოგადოების მცდელობა მიაღწიოს არსებული ნორმებისა და რეგულაციებისადმი საზოგადოების წევრთა მორჩილებას. აღსრულების შესაძლებლობის გარეშე, საზოგადოება ქაოსისა უწყესრიგობის მსხვერპლად იქცეოდა⁹².

სამართლის მოთხოვნათა დაცვა სამართლის სუბიექტების მიერ ხშირად სწორედ ნორმათა დაუცველობის შედეგის - იძულების - შიშითაა განპირობებული⁹³. თუკი რუდოლფ ფონ იერინგს დავესესხებით: „იძულების გარეშე არსებული სამართლის ნორმა ესაა წინააღმდეგობა თავის თავში, ცეცხლი, რომელის არ იწვის, სინათლე, რომელიც არ ანათებს“⁹⁴.

ცხადია, ეფექტიანი აღსრულების მექანიზმები ისევე მნიშვნელოვანია კონკურენციის სამართლის და მათ შორის კონცენტრაციების მომწესრიგებელი ნორმებისათვის, როგორც სხვა ნებისმიერი მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია მათ თავისი ფუნქციის (თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვა) შესრულება მოახერხონ.

⁹¹ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 42.

⁹² Jones & Bartlett Learning, The Field Of Law Enforcement, Massachusetts, 2010, 1.

⁹³ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 42.

⁹⁴ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 42.

მეტიც, კონკურენციის სამართალი მხოლოდ იმდენადაა ეფექტური, რამდენადაც მისი აღსრულების მექანიზმები. შინაარსი და პროცედურა განცალკევებული როდია, ორივე მათგანი სამართლებრივი და ინსტიტუციური დანაწესებისა და მექანიზმების ერთობლიობა⁹⁵.

ამა თუ იმ კანონის შესრულებაზე უფლებამოსილი ორგანოს (კონკრეტულ შემთხვევაში კი კონკურენციის სააგენტოს) მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა შეუძლებელია, თუ არ არსებობს ადეკვატური იძულების მექანიზმები და მათი გამოყენებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა.

1. კონკურენციის სამართალით გათვალისწინებული სანქციები

„არ დაარღვიოთ კონკურენციის სამართლის ნორმები!! წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსური ჯარიმები დაგეკისრებთ!!“⁹⁶ ასე სრულდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) 2014 წლის ბროშურა „სიახლეები კონკურენციის სამართალში“, თუმცა შეესაბამება კი ეს ქართულ კონკურენციულსამართლებრივ რეალობას?

როგორც აღინიშნა, სამართლის მოთხოვნებს ხშირად სწორედ ნორმათა დაუცველობის შედეგის „შიშით“ იცავენ. სწორედ ამიტომ, კონკურენციის სამართალიც ითვალისწინებს შესაბამის სანქციებს კონკურენციულსამართლებრივი რეგულაციების დაუცველობის შემთხვევაში. აშშ-სა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში კონკურენციის სამართლის დარღვევისათვის რიგ შემთხვევებში სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული⁹⁷, ანალოგიური მოწესრიგების შესახებ დისკუსია მიმდინარეობს ევროკავშირშიც⁹⁸.

ქართული სამართალი ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენციის სამართლის დარღვევისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ

⁹⁵ Crane D.A., The Economics of Antitrust Enforcement, Antitrust Law and Economics, edited by Hylton K. N., Massachusetts, 2010, 1.

⁹⁶ კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრი, სიახლეები კონკურენციის სამართალში, თბილისი, 2014, 28.

⁹⁷ Chantrel É., Navacelle C., REPORT On Assessing Penalties For Infringements Of Competition Law, Paris, 2010, 5.

⁹⁸ Hawkes G., Cartels – The case for criminalization in the EU, Dublin, 2014, 7.

ითვალისწინებს. თუმცა, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი მე-7 თავს სანქციებს უთმობს.

კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია „საქმესთან დაკავშირებით შესაბამის ეკონომიკურ აგენტს, სხვა დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ინფორმაცია, მათ შორის, მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო ურთიერთობების შესახებ, გაეცნოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტაციას“. ამავე კანონის 32-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ კონკურენციის სააგენტოსათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე.

თუმცა, ხსენებული ნორმები უკავშირდება სააგენტოს მიერ მოკვლევის პროცესში გამოთხოვილ ინფორმაციას და არ ეხება კონცენტრაციის შეტყობინების განხილვისას ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულებას. შესაბამისად, სააგენტო არ არის უფლებამოსილი, ეკონომიკური აგენტისგან გამოთხოვილი ინფორმაციის წარმოუდგენლობისას, გამოიყენოს კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია⁹⁹.

კანონი ასევე განსაზღვრავს სანქციას დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ან კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებისა თუ შეთანხმებული ქმედების შემთხვევებში (კონკურენციის შესახებ კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის 5 %-ს. დარღვევის აღმოუფხვრელობის ან განმეორების შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში წლიური ბრუნვის 10 %-ს¹⁰⁰.

კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებისა და

⁹⁹ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2017 წლის დეკემბრის № 04/325 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება შპს „ალტასა“ და შპს „მეტრომარტს“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, 7.

¹⁰⁰ კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრი, სიახლეები კონკურენციის სამართალში, თბილისი, 2014, 21-22.

შეთანხმებული ქმედების ბათილობა, როგორც იურიდიული შედეგი, ასევე შეიძლება სანქციად იქნეს განხილული¹⁰¹.

2. კონცენტრაციის შეტყობინების გარეშე განხორციელებისათვის გათვალისწინებული სანქციები

უკვე აღინიშნა, რომ ქართული კანონმდებლობა გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კონცენტრაციების განხორციელებამდე სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინების ვალდებულებას აწესებს. თუმცა, კანონში შეტყობინების ვალდებულებასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზი დაკვირვებული იურისტის თვალს ყურადღების მიღმა არ დარჩება: არც კანონი და არც კონკურენციის სააგენტოს მიერ შემუშავებული კანონქვემდებარე აქტები არ ითვალისწინებს რაიმე სამართლებრივ შედეგს შეტყობინების ვალდებულების განუხორციელებლობისათვის¹⁰². არ არსებობს იძულების მექანიზმი, რომელიც განაპირობებდა ეკონომიკური აგენტების მიერ კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების ვალდებულების შესრულებას. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების ვალდებულების დამწესებელი ნორმა წარმოადგენს ე.წ. “leges imperfectae¹⁰³”, ანუ ნორმას სანქციის გარეშე.

დღეისათვის ქართულ კონკურენციის სამართალში არ არსებობს, არც ისეთი ნორმა, რომელიც გახდება შეუტყობინებლად განხორციელებული კონცენტრაციის ბათილობის საფუძველი. არ არსებობს სამართლებრივი ბერკეტი რათა აღმოიფხვრას ეფექტიანი კონკურენციის შემზღვეველი შედეგები და ბაზარზე პირვანდელი მდგომარეობა აღდგეს.

სააგენტოსთვის ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში გათვალისწინებული ჯარიმა ათასიდან სამი ათას ლარამდე მხოლოდ მაშინ, გამოიყენება, როდესაც ეკონომიკური აგენტი სააგენტოს მოკვლევის პროცესში არ მიაწოდებს მის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას¹⁰⁴. ინფორმაციის

¹⁰¹Cauffman C., The Impact of Voidness for Infringement of article 101 TFEU on Related contracts, European Competition Journal, Vol. 8, No 1, 2012, 119.

¹⁰² მენაბდიშვილი ს., კონცენტრაციის არსი და მისი კონკურენციის სამართლისეული შეფასება, მართლმსაჯულება და კანონი, № 2(58)'18, 2018, 156.

¹⁰³ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 56.

¹⁰⁴ მენაბდიშვილი ს., კონცენტრაციის არსი და მისი კონკურენციის სამართლისეული შეფასება, მართლმსაჯულება და კანონი, № 2(58)'18, 2018, 157.

მიუწოდებლობის გამო ჯარიმის დაკისრება სააგენტოს კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხილვის პროცესში არ შეუძლია¹⁰⁵.

ამგვარად, კონცენტრაციათა განხორციელება კონკურენციის შესახებ კანონის გვერდის ავლით დღევანდელ სამართლებრივ რეჟიმში სავსებით შესაძლებელია. საკანონმდებლო ხარვეზისა თუ კანონმდებლის კვალიფიციური დუმილის შედეგად, ეკონომიკურ აგენტებს შეუძლიათ განახორციელონ კონცენტრაციები, რომლებიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, ისე, რომ არ დაეკისროთ არანაირი სანქცია.

3. შეტყობინების ვალდებულების გვერდის ავლით განხორციელებული კონცენტრაცია

სააგენტოს მიერ შეფასებული კონცენტრაციებიდან, შეტყობინების ვალდებულების დარღვევის ჭრილში, ყველაზე საინტერესო, ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ განცხადების საფუძველზე შესწავლილი კონცენტრაციაა. ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრმა“ მოითხოვა შპს „ნიკორა ტრეიდი“-სა და „ნუგეში“-ს შორის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შეფასება.

კონკურენციის სააგენტომ თავის დასკვნაში მიუთითა, რომ შპს „ნიკორა ტრეიდი“-სა და „ნუგეში“-ს წლიური ბრუნვა (სსიპ შემოსავლების სამსახურისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით), როგორც ცალ-ცალკე ისე ერთობლივად, საქართველოს ტერიტორიაზე, კონცენტრაციის წინა ფინანსური წლის მონაცემების გათვალისწინებით, აღემატებოდა კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ოდენობას, ასევე, შპს „ნიკორა ტრეიდი“, წილების შეძენის მომენტში, უკვე აკონტროლებდა ერთ ეკონომიკურ აგენტს შესაბამისად, მათ

¹⁰⁵ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 9 ივნისის № 67 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება შპს „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯიას“ მიერ შპს „თბილცემენტ გრუპის“ სასაქონლო ბეტონის წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების (საოპერაციო აქტივების) შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, 17.

მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ სააგენტოსათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების ვალდებულება ეკისრებოდათ¹⁰⁶.

შპს „ნიკორა ტრეიდა“ და შპს „ნუგეშმა“ დაარღვიეს კონცენტრაციების შეტყობინების შესახებ კანონით გათვალისწინებული ვალდებულება (ინგლისურად ამას gun-jumping-საც უწოდებენ¹⁰⁷). რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვა ამას?

სააგენტომ აღნიშნა: „კანონმდებლობა მართალია, აწესებს ზოგიერთ შემთხვევაში, განსახორციელებელი კონცენტრაციის წინასწარ შეთანხმების ვალდებულებას, თუმცა, იგი ზოგად მინიშნებასაც კი არ აკეთებს ამ ვალდებულების დარღვევის შესაბამისი რეაგირების მექანიზმებთან მიმართებით“¹⁰⁸. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, კონკურენციის სააგენტოს, დარღვევის დადგენის მიუხედავად, არ აქვს მსგავს შემთხვევებზე რეაგირების ეფექტიანი და თანაზომადი სამართლებრივი ბერკეტი¹⁰⁹.

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი წარმოეშვა მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კონკურენციის სააგენტოს მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნა. დასკვნის არ არსებობის შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს არ აქვს ვალდებულება (თუკი ეკონომიკური აგენტის პოზიციიდან შევხედავთ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არ არის უფლებამოსილი) კონცენტრაციის რეგისტრაციისას დაადგინოს, რამდენად წარმოადგენს გარიგება კონკურენციულსამართლებრივად რელევანტურ კონცენტრაციას ან

¹⁰⁶ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 26 თებერვლის № 27 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება შპს „ნიკორა ტრეიდა“-სა და შპს „ნუგეშ“-ს შორის განხორციელებული კონცენტრაციის შედეგად კონკურენციის შესახებ კანონის მე-11 და მე-11¹ მუხლების დარღვევის შესახებ, 8.

¹⁰⁷ მენაბდიშვილი ს., საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან (ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად), თბილისი, 2018, 49.

¹⁰⁸ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 26 თებერვლის № 27 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება შპს „ნიკორა ტრეიდა“-სა და შპს „ნუგეშ“-ს შორის განხორციელებული კონცენტრაციის შედეგად კონკურენციის შესახებ კანონის მე-11 და მე-11¹ მუხლების დარღვევის შესახებ, 4.

¹⁰⁹სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2017, 15; იხ. <<http://competition.ge/ge/page3.php?i=152&v=155> > [29.06.2019].

ხორციელდება თუ არა ის კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით¹¹⁰.

კონკურენციის სააგენტომ მართებულად აღნიშნა, რომ სანქციის არარსებობა საგრძნობლად აფერხებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დეკლარირებული მიზნების აღსრულების პროცესს, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ეფექტურ კონკურენციას ქვეყანაში¹¹¹. მეტიც, ამ შემთხვევაში, იძულების მექანიზმის არ არსებობა, ნიშნავს, რომ ქართული კონკურენციის კანონების ეფექტიან აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი არ არის, კონცენტრაციების ეფექტიანი კონტროლი ქვეყანაში არ ხდება.

ეკონომიკურ აგენტებს არაფერი უშლით ხელს განახორციელონ კონცენტრაციები სააგენტოსათვის შეტყობინების ვალდებულების უგულვებელყოფით და საფრთხე შეუქმნან ეფექტიან კონკურენციას, მეტიც, აქციონ შესაბამისი ბაზარი მონოპოლიური ან ოლიგოპოლიური ტიპის ბაზრად.

კონკურენციის სააგენტოს, არსებობის 5 წლის მანძილზე, შეტყობინების განხორციელების ვალდებულების მხოლოდ და მხოლოდ ერთი შემთხვევა აქვს გამოველილი. შესაძლოა ეს იმითაცაა განპირობებული, რომ დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, სააგენტოს შემდგომი რეაგირების ბერკეტები არ გააჩნია და ამდენად, მის მიერ დარღვევათა დადგენა კონცენტრაციების მიმართულებით აზრს მოკლებულია.

ვფიქრობ ეს არგუმენტი მიუღებელია, რამდენადაც სააგენტოს მიერ დასკვნის შემუშავება, იმის თაობაზე, რომ ეკონომიკურმა აგენტებმა დაარღვიეს კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა მინიმუმ ნიშნავს ამ ეკონომიკური აგენტების საქმიანი რეპუტაციისათვის ჩრდილის მიყენებას. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული სანქციები და უარყოფით დასკვნას კონკრეტული სამართლებრივი შედეგი ვერ

¹¹⁰ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 26 თებერვლის № 27 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება შპს „ნიკორა ტრეიდ“-სა და შპს „ნუგეშ“-ს შორის განხორციელებული კონცენტრაციის შედეგად კონკურენციის შესახებ კანონის მე-11 და მე-11¹ მუხლების დარღვევის შესახებ, 10.

¹¹¹ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 26 თებერვლის № 27 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება შპს „ნიკორა ტრეიდ“-სა და შპს „ნუგეშ“-ს შორის განხორციელებული კონცენტრაციის შედეგად კონკურენციის შესახებ კანონის მე-11 და მე-11¹ მუხლების დარღვევის შესახებ, 11.

მოწყვება, მაინც მნიშვნელოვანია, რომ კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ გამოააშკარავოს ბაზრის მოთამაშეთა კანონისმიერი ხარვეზით განპირობებული არაკეთილსინდისიერი ქცევა.

4. სააგენტოს მიერ დასახული პერსპექტივები

მას შემდეგ, რაც კონკურენციის სააგენტომ მიუთითა, რომ კანონი შეტყობინების ვალდებულების დარღვევისათვის არ ითვალისწინებს რაიმე სანქციებს, მან თავის დასკვნაში აღნიშნა, „კონკურენციის შესახებ“ კანონში ამ მიმართულებით ცვლილებათა განხორციელების აუცილებლობაც. უნდა დადგინდეს კონკრეტული რეაგირების მექანიზმი რათა მოხდეს კონცენტრაციათა შეტყობინების გარეშე განხორციელების პრევენცია¹¹².

სააგენტომ გადაწყვეტილებასთან ერთად, საქართველოს მთავრობას წარუდგინა შესაბამისი რეკომენდაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების განხორციელების თაობაზე¹¹³. 2018 წლის 27 სექტემბერს ერთ-ერთ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსთან და ევროკავშირის პროექტის გუნდის ხელმძღვანელთან ერთად კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე შეხვედრა გამართა. სხვა საკითხებს შორის, შეხვედრაზე მიმოიხილეს კონცენტრაციების კონტროლის წესისა და აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებებიც¹¹⁴.

კონკურენციის სააგენტომ საქართველოს მთავრობას კანონში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი ჯერ კიდევ 2016 წელს წარუდგინა. თავად კონკურენციის სააგენტოს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება კონსტიტუციით მინიჭებული არ აქვს. მთავრობისათვის კანონპროექტის

¹¹² სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 26 თებერვლის № 27 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება შპს „ნიკორა ტრეიდ“-სა და შპს „ნუგემ“-ს შორის განხორციელებული კონცენტრაციის შედეგად კონკურენციის შესახებ კანონის მე-11 და მე-11¹ მუხლების დარღვევის შესახებ, 11.

¹¹³ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2017, 15; იხ. <<http://competition.ge/ge/page3.php?i=152&v=155>> [29.06.2019].

¹¹⁴ იხ. „კონკურენციის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების განხილვა გაიმართა <<https://commerciant.ge/ge/post/konkurenciis-shesaxeb-kanonshi-shesatani-cvlilebebis-ganxilva-gaimarta>> [29.06.2019]

წარდგენიდან სამი წელი გავიდა, თუმცა, კანონში შესაბამის ცვლილება-დამატებათა ასახვა არ მომხდარა. კანონპროექტი გასაჯაროებული არ არის. კონკურენციის სააგენტომ, ოფიციალურ მიმართვაზე მიპასუხა, რომ ამ ეტაპზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებათა პროექტის დეტალური ანალიზი. კანონპროექტის საჯარო განხილვები კი მხოლოდ მთავრობასა და პარლამენტს შორის საბოლოო პოზიციათა შეჯერების შემდგომ, დაიგეგმება¹¹⁵.

კანონპროექტის შესახებ, ზოგადი ინფორმაციის მოპოვება 2017 წელს გამოქვეყნებული ერთ-ერთი სამეცნიერო სტატიიდანაა შესაძლებელი¹¹⁶ (ვერ გამოვრიცხავთ, რომ მას შემდეგ პროექტი შეიცვალა და დაიხვეწა). სტატიის მიხედვით, ცვლილებები ითვლისწინებს სანქციის დაწესებას კონცენტრაციის წინასწარ შეტყობინების ვალდებულების დარღვევისათვის. სანქციის მაქსიმალური ოდენობაა წინა ფინანსური წლის განმავლობაში ვალდებულების დამრღვევი ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის 1% (ფიზიკური პირის შემთხვევაში არა უმეტეს ნახევარი მილიონი ლარი). დაჯარიმება არ ათავისუფლებს შეტყობინების წარდგენის ვალდებულებისაგან. ცვლილებათა პროექტი ასევე ითვალისწინებს ჯარიმას აკრძალული ან შეტყობინებიდან სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის იმპლემენტაციისათვის. ამ შემთხვევაში სანქციის მაქსიმალური ოდენობაა წინა ფინანსური წლის განმავლობაში ვალდებულების დამრღვევი ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის 2% (ფიზიკური პირის შემთხვევაში არა უმეტეს მილიონი ლარი). აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიენიჭება ეკონომიკური აგენტებისაგან პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლება.

5. პრობლემის გადაჭრის გზები

როდესაც დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებზე ხელი სრულად არ მიგვიწვდება, ისღა დაგვრჩენია, პრობლემის გადაჭრის გზები დამოუკიდებლად ვეძებოთ. საკითხი ამგვარად დგას: რა არის საჭირო იმისათვის, რომ კონცენტრაციითა კონკურენციულსამართლებრივი რეგულირება ეფექტური

¹¹⁵ სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2019 წლის 29 მაისის წერილი № 02/668, 1.

¹¹⁶ Menabdishvili S., Main Practical and Legal Issues in Georgian Merger Regulation in the Context of EU-Georgian Association Agreement, EU Association Agreements With Georgia, Moldova And Ukraine: Through Cooperation Towards Integration, Chişinău-Tbilisi-Chernivtsi, 2017, 227-228.

იყოს? რა ზომები უნდა მიიღოს კანონმდებელმა, რათა შპს „ნიკორა ტრეიდი“-სა და შპს „ნუგეში“-ს კონცენტრაციის მსგავსი დარღვევა არ განმეორდეს? რა გამოსავალი შეიძლება ვიპოვოთ იმ კონცენტრაციებთან მიმართებით, რომლებიც შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებამდე კონკურენციის სამართლის დარღვევით განხორციელდნენ?

მომდევნო ქვეთავებში განხილული იქნება კონცენტრაციათა ეფექტიანი რეგულირებისა და სააგენტოსათვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების სხვადასხვა გზები.

ა. ჯარიმა

აა. სხვა ქვეყნების კანონმდებლობა

კონკურენციის შესახებ კანონისა და კონკურენციის სააგენტოს გვერდის ავლით კონცენტრაციათა განხორციელების პრევენციის ერთ-ერთი მექანიზმი ასეთი კონცენტრაციების განხორციელებაზე ჯარიმის დაწესებაა. ეს ევროკავშირში საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკაა¹¹⁷.

მაგალითად, თუ ეკონომიკური აგენტები ევროკომისიას განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ შეატყობინებენ იმ კონცენტრაციის შესახებ, რომელსაც გააჩნია ევროკავშირისათვის რელევანტური მასშტაბი ევროკავშირის შერწყმის რეგულაციის 14(2) „ა“ მუხლის თანახმად, კომისიას აქვს უფლებამოსილება დააკისროს მათ ჯარიმა, რაც არ უნდა აღემატებოდეს კონცენტრაციის განმახორციელებელი ეკონომიკური აგენტების წინა ფინანსური წლის ბრუნვის 10 %-ს. აღსანიშნავია, რომ ჯარიმა გათვალისწინებულია არა მხოლოდ შეუტყობინებლობის, არამედ კომისიის მიერ საერთო ბაზართან შეუთავსებლად მიჩნეული კონცენტრაციის განხორციელებისათვისაც.

რაც შეეხება იმ კონცენტრაციებს, რომელთაც გააჩნიათ არა ევროკავშირისათვის, არამედ მისი წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით დადგენილი რელევანტური მასშტაბი, მათთვის შესაბამისი სანქციებსაც თავად წევრი ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს.

მაგალითად, ფრანგული კანონმდებლობის თანახმად, კონცენტრაციის წინასწარ შეტყობინების ვალდებულების დარღვევისთვის, ისევე როგორც

¹¹⁷ მენაბდიშვილი ს., კონცენტრაციის არსი და მისი კონკურენციის სამართლისეული შეფასება, მართლმსაჯულება და კანონი, № 2(58)'18, 2018, 155.

უფლებამოსილი ორგანოს მითითების შეუსრულებლობისათვის, გათვალისწინებულია ეკონომიკური აგენტის დაჯარიმება არაუმეტეს ეკონომიკური აგენტების წლიური ბრუნვის 5 %-ისა. ასევე არსებობს დარღვევის განგრძობადობაზე დამოკიდებული ჯარიმა, რომლის ოდენობაც იზრდება, სანამ დარღვევა არ აღმოიფხვრება¹¹⁸.

გერმანული კანონმდებლობით შეტყობინების ვალდებულების განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევადაა მიჩნეული. ხოლო უფლებამოსილი ორგანოს მიერ აკრძალული კონცენტრაციის განხორციელება ჯარიმდება 500 000 ევროს ან ეკონომიკური აგენტის მიერ მიღებული მოგების სამჯერადი ოდენობით¹¹⁹.

ბბ. ჯარიმის დაწესების აუცილებლობა

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ოფიციალური პოზიციით, კონცენტრაციის შესახებ წინასწარ შეტყობინების ვალდებულების დარღვევისათვის ეკონომიკურ აგენტებზე ჯარიმის დაკისრების წინააღმდეგია. სამინისტროს პოზიციით, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრმა შესაბამისი კონცენტრაციის რეგისტრაციისას უნდა შეაფასოს იგი არსებულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით და მიიღოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ¹²⁰.

ვფიქრობ, მიდგომა არასწორი და არაეფექტურია. თუკი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ლოგიკას მივყვებით, გამოდის რეესტრის კომპეტენციაა განსაზღვროს არსებობს თუ არა კონცენტრაციის კონკურენციის სააგენტოსათვის წინასწარი შეტყობინების ვალდებულება. კერძოდ, რეესტრმა უნდა იკვლიოს:

1. სახეზეა თუ არა კონცენტრაცია კონკურენციის შესახებ კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ან მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შინაარსით;

¹¹⁸ Vogel L., Global Competition Law, A Practitioner's Guide, Paris, 2015, 196.

¹¹⁹ Vogel L., Global Competition Law, A Practitioner's Guide, Paris, 2015, 208.

¹²⁰ Menabdishvili S., Main Practical and Legal Issues in Georgian Merger Regulation in the Context of EU-Georgian Association Agreement, EU Association Agreements With Georgia, Moldova And Ukraine: Through Cooperation Towards Integration, Chişinău-Tbilisi-Chernivtsi, 2017, 228.

2. აღმატება თუ არა კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე 20 მილიონ ლარს ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღმატება 5 მილიონ ლარს ან აღმატება თუ არა ამ ეკონომიკური აგენტების საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აქტივების ღირებულება აღმატება 4 მილიონ ლარს;

3. ხომ არ არიან ეკონომიკური აგენტები კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების ვალდებულებისაგან გათავისუფლებულნი;

ამასთან, ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს სარეგისტრაციო ვადაში. ამჟამად არსებული რეგულაციით, სუბიექტის რეორგანიზაცია (იგულისხმება, გარდაქმნა, გაერთიანება, მიერთება, დაყოფა, გამოყოფა) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმდინარეობს ორ ეტაპად, სუბიექტის რეორგანიზაციის პროცესის დაწყებისა და სუბიექტის რეორგანიზაციის გზით.

საწარმოს რეორგანიზაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის შესახებ ელექტრონულ ინფორმაციას რეესტრი უგზავნის სსიპ შემოსავლების სამსახურს, რომელიც შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს რეესტრისათვის სუბიექტის საგადასახადო ვალდებულების არსებობის რისკის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას. ვალდებულების არსებობა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოს რეორგანიზაციით არ მცირდება კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარი ან არსებობს კრედიტორის თანხმობა რეორგანიზაციაზე.

საგადასახადო ვალდებულების რისკის არსებობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენისათვის გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ შესაძლებელია დასრულდეს საზოგადოების რეორგანიზაცია.

საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი, სამართლებრივი ფორმის ისეთი ცვლილებებისას, რომლის დროსაც საწარმოს უნარი, დააკმაყოფილოს კრედიტორები, არ მცირდება, ასევე, თუ საწარმოს მიუერთდა მისი 100%-იანი შვილობილი საწარმო, რეორგანიზაცია უნდა დასრულდეს მხოლოდ

რეორგანიზაციის მოთხოვნით განცხადებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების წარმოდგენის საფუძველზე¹²¹.

მაშასადამე, რიგ შემთხვევებში, შეიძლება რეორგანიზაციის რეგისტრაცია მოხდეს 10 სამუშაო დღეში ან სტანდარტულად განაცხადის წარდგენის მეორე სამუშაო დღეს/ დაჩქარებული წარმოების ფარგლებში იმავე სამუშაო დღეს¹²².

თუკი კონკურენციის სააგენტოს რელევანტური ბაზრის სრულყოფილი კვლევისათვის არ ჰყოფნის თვენახევრიანი ვადა, ზემოთ დასახელებულ საკითხთა კვლევა რეესტრისათვის 10 ან 2 სამუშაო დღის ვადაში, მით უფრო პრობლემურია.

არსებობს კიდევ ერთი ჰიპოთეტური გამოსავალი, რეესტრმა ყოველი კონცენტრაციის შესახებ ინფორმაცია ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიაწოდოს კონკურენციის სააგენტოს, ხოლო შესაბამისი სარეგისტრაციო წარმოება შეაჩეროს სააგენტოს მიერ კონცენტრაციის ეფექტიან კონკურენციასთან თავსებადობის შესახებ დასკვნის გაცემამდე.

ერთი შეხედვით, ამ გზით მოვახერხებთ თავიდან ავიცილოთ კონკურენციის შემზღვეველი კონცენტრაციები და დღის წესრიგში არც შეტყობინების ვალდებულების დარღვევის გამო დაჯარიმების საჭიროება დადგება. მაგრამ ამგვარი მოწესრიგება საკმაოდ არასახარბიელოა. ყოველი კონცენტრაციის შესახებ დასკვნის მომზადება არათანაბარზომიერად გადატვირთავს კონკურენციის სააგენტოს სისტემას, რასაც მოჰყვება დასკვნის გაცემის ვადების დარღვევა და შესაბამისად ეკონომიკური აგენტებისათვის ბიზნესის თავისუფლების, მისი სწრაფად და შეუფერხებლად წარმოების საშუალების წართმევა.

რეესტრისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების კიდევ ერთ უარყოფით მხარედ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ იგი მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს ყველა სახის კონცენტრაცია, ვინაიდან კონცენტრაციის ცნება, სრულად არ ემთხვევა რეორგანიზაციის ცნებას. კონცენტრაცია შერწყმის კლასიკურ გაგებასთან ერთად მოიცავს ფასიანი ქაღალდების ან აქტივების წილის შეძენით, ხელშეკრულებით ან სხვა საშუალებით ეკონომიკურ აგენტზე ან მისი ბიზნესის ნაწილზე

¹²¹ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 12 ივნისის წერილი № 205162.

¹²² იხ. სუბიექტის რეორგანიზაცია < <https://napr.gov.ge/p/619> > [29.06.2019].

პირდაპირი ან ირიბი კონტროლის მოპოვებას იმ პირის მიერ, რომელიც უკვე აკონტროლებს სულ მცირე 1 ეკონომიკურ აგენტს, ასევე, ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მმართველ ორგანოებში მონაწილეობას, ერთობლივი საწარმოს შექმნას.

ამ ქმედებათა ნაწილი მაგალითად, ფასიანი ქაღალდების, კომპანიის აქტივების შეძენით ან სხვა ისეთი ხელშეკრულების დადების გზით ეკონომიკურ აგენტზე ან მისი ბიზნესის ნაწილზე პირდაპირი ან ირიბი კონტროლის მოპოვება, არ ექვემდებარება რეგისტრაციას და ხორციელდება რეესტრის მონაწილეობის გარეშე. ნაწილის კვლევა კი, სარეგისტრაციო ვადაში უბრალოდ შეუძლებელია. მაგალითად, საწარმოს დირექტორის/სამეთვალყურეო საბჭოს წევრის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში ხორციელდება განაცხადის წარდგენის მეორე სამუშაო დღეს ან დაჩქარებული წარმოების ფარგლებში იმავე სამუშაო დღეს¹²³. შეუძლებელია ამ ვადაში რეესტრმა განსაზღვროს შესაბამისი ბაზარი, მოიპოვოს ინფორმაცია მასზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების შესახებ და შეამოწმოს თითოეული მათგანის მმართველობითი ორგანოს შემადგენლობა, შემდგომ კი განსაზღვროს აკმაყოფილებს თუ არა მოცემული კონცენტრაცია კანონით დადგენილ კრიტერიუმებს და ექვემდებარება თუ არა იგი კონკურენციის სააგენტოსათვის შეტყობინებას.

თუკი ასეთ კონცენტრაციებზე კონტროლს ვერც რეესტრი ახორციელებს და კონკურენციის სააგენტოსაც არ გააჩნია სამართლებრივად ვარგისი ბერკეტები (იგულისხმება ფულადი ჯარიმა) მათი შეტყობინების ვალდებულების დარღვევით განხორციელებისათვის, გამოდის ისინი კვლავ მოწესრიგების მიღმა რჩებიან.

თავად ეკონომიკურ აგენტებზე უკეთ ცხადია არავინ იცის რა ღირებულებისაა მათი აქტივები ან რა წლიური ბრუნვა აქვთ მათ. აქედან გამომდინარე, იმის განსაზღვრა კონკრეტული კონცენტრაციის განხორციელებისას არსებობს თუ არა მის შესახებ სააგენტოსათვის შეტყობინების ვალდებულება კვლავაც ეკონომიკურ აგენტებს უნდა ეკისრებოდეთ.

ამ არგუმენტებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ეკონომიკური აგენტების მიერ კონცენტრაციის შეტყობინების ვალდებულების დარღვევისათვის, ჯარიმას

¹²³ იხ. მეწარმე იურიდიული პირის პირველადი და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია < <https://napr.gov.ge/p/616> > [29.06.2019].

უშუალოდ „კონკურენციის შესახებ“ კანონი უნდა ითვალისწინებდეს. ხოლო შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევათა გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება კონკურენციის დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს - კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებას უნდა განეკუთვნებოდეს.

გგ. ჯარიმის ოდენობა

ჯარიმის ოდენობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გერმანული მიდგომა ანუ ჯარიმის ოდენობის ფიქსირებულად განსაზღვრა არაეფექტურია. კონკრეტულად განსაზღვრული ჯარიმა შეიძლება ბაზრის ზოგიერთი მონაწილისთვის მძიმე ეკონომიკური ტვირთი აღმოჩნდეს, სხვა შემთხვევაში კი ეკონომიკური აგენტების მიერ კონცენტრაციით მიღებულ სარგებელთან შედარებით იმდენად მცირე იყოს, რომ პრევენციული ეფექტი დაკარგოს. ამდენად, ჯარიმა დამოკიდებული უნდა იყოს ეკონომიკური აგენტების მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევით განხორციელებული კონცენტრაციის შედეგად მიღებული სარგებლის ოდენობაზე ან მათ წლიურ ბრუნვაზე.

უკვე აღინიშნა, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს ჯარიმას ერთ შემთხვევაში კანონის დამრღვევი ეკონომიკური აგენტის წინა ფინანსური წლის ბრუნვის 1%-ის, ხოლო მეორე შემთხვევაში 2%-ის ოდენობით. ზოგადად, ქართული კანონმდებლობით ამჟამად გათვალისწინებული ჯარიმებიც ევროკავშირის სამართალთან შედარებით საკმაოდ დაბალია. ამასთან დაკავშირებით, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ევროპული კანონმდებლობის რეცეფციისას მოხდა მისი ქართულ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანა¹²⁴, ქართული ბაზრის განვითარების დონისა და ეკონომიკურ პოტენციალის მხედველობაში მიღება. ვფიქრობ, რომ ჯარიმის ოდენობის ეკონომიკური აგენტის წლიურ ბრუნვასთან დაკავშირება, უკვე თავისთავად გულისხმობს არათუ ზოგადად ქართული ბაზრის, არამედ ინდივიდუალურად დარღვევის ჩამდენი ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებასაც კი.

აქედან გამომდინარე, ჯარიმის სახით ბრუნვის 1 ან რიგ შემთხვევებში 2%-ის დაწესება, არაეფექტურია და მას პრევენციულ ბუნებას უკარგავს. რიგ შემთხვევებში უკანონო კონცენტრაციით მიღებული სარგებელი შესაძლოა

¹²⁴ Zukakishvili K., Two Years after the Legal Transplantation in Georgia, the Best is yet to Come, Sofia Competition Forum, Sofia, 2016, 43.

იმდენად დიდი იყოს, რომ ჯარიმის ამ ოდენობის გადახდის რისკი ეკონომიკური აგენტისათვის შემაკავებელი ფაქტორად არც კი მოგვევლინოს.

ბ. განხორციელებული კონცენტრაციის ბათილობა

კონცენტრაციის შეტყობინებლად განხორციელების გამო ეკონომიკური აგენტებისათვის ჯარიმის დაკსრებას პრევენციული ეფექტი აქვს, თუმცა იგი ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანი კონკურენციის დაცვას იმ შემთხვევებში, როდესაც ეკონომიკური აგენტების მიერ განხორციელებული კონცენტრაციიდან მოსალოდნელი სარგებელი იმდენად მაღალია, რომ ისინი მზად არიან გადაიხადონ ჯარიმა კანონით დაგდენილი წესის დარღვევით კონცენტრაციისათვის.

ზემოთ აღნიშნულის გამო, საჭიროა კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს კანონმა მიანიჭოს ეფექტიანი კონკურენციის აღდგენის სამართლებრივად ვარგისი საშუალებები.

ევროკომისიას აქვს უფლებამოსილება მიიღოს ეფექტიანი კონკურენციის შესანარჩუნებლად ან აღსადგენად შესაბამისი ზომები, მათ შორის, როდესაც კონცენტრაცია უკვე განხორციელებულია, მაგრამ იგი ერთიან შიდა ბაზართან შეუთავსებლადაა გამოცხადებული¹²⁵.

ევროკომისია მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხილვისას იშვიათად აცხადებს კატეგორიულ უარს კონცენტრაციის განცორხიელებაზე ¹²⁶. იგი უმეტესად იყენებს სამართლებრივი დაცვის საშუალებებს ეს შეიძლება იყოს ბიზნესის ნაწილის გასხვისება (სტრუქტურულსამართლებრივი დაცვის საშუალება), ასევე ე.წ. „ქცევითი“ და „კვაზიქცევითი“ სამართლებრივი დაცვის საშუალებები (არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა, ისეთი საშუალებების გამოყენება, რომელიც ბაზარზე შესვლას გაამარტივებს)¹²⁷. მაშასადამე, შეტყობინების ვალდებულების გვერდის ავლით განხორციელებული შეტყობინების შემთხვევაშიც, ევროკომისია ეფექტიანი კონკურენციის დაცვის/აღდგენის მიზნით, უპირველეს ყოვლისა იმსჯელებს სამართლებრივი დაცვის

¹²⁵ Whish R., Bailey D., Competition Law, New York, 2012, 860.

¹²⁶ Whish R., Bailey D., Competition Law, New York, 2012, 884.

¹²⁷ მენაბდიშვილი ს., კონცენტრაციის არსი და მისი კონკურენციის სამართლისეული შეფასება, მართლმსაჯულება და კანონი, № 2(58)'18, 2018, 157.

საშუალებების გამოყენებაზე. თუ აღმოჩნდება, რომ მიზნის მიღწევა სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებით შეუძლებელია, მხოლოდ ამის შემდეგ განიხილება კონცენტრაციის გაბათილება და თავდაპიველი მდგომარეობის აღდგენა.

რაც შეეხება სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობას, გერმანული მოწესრიგების მიხედვით, უნდა გაუქმდეს ისეთი კონცენტრაცია, რომელიც მოხდა შესაბამისი თანხმობის გარეშე, ან რომლის ეფექტიან კონკურენციასთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა გაუქმდა¹²⁸. ხოლო პორტუგალიის კანონმდებლობის თანახმად, შერწყმის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მათ შორის ითვალისწინებდეს შერწყმასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციების ბათილად ცნობას¹²⁹.

ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, მსგავსი უფლებამოსილებები ქართულ კონკურენციის სააგენტოსაც გააჩნდეს. კონკრეტულად, შეტყობინების გარეშე განხორციელებულ კონცენტრაციებთან მიმართებით, თუკი სააგენტო დაადგეს, რომ ისინი არსებითად ზღუდავენ ეფექტიან კონკურენციას, ვფიქრობ მიზანშეწონილი იქნება, პირველ რიგში, სააგენტოს მიენიჭოს სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების უფლებამოსილება. ეს მოსაზრება განპირობებულია ბიზნესის თავისუფლების რაც შეიძლება ნაკლებად შეზღუდვით, ასევე იმით, რომ ხშირად, კონცენტრაციის შემდეგ ხდება გარკვეული ტრანზაქციების განხორციელება მესამე კეთილსინდისიერ პირებთან, რომელთათვისაც შესაძლოა კონცენტრაციის ბათილობამ სამართლებრივი გაურკვეველობა და არასასურველი შედეგები წარმოშვას (მაგ. მატერიალური ზიანის სახით).

მიუხედავად ამისა, თუ განხორციელებული კონცენტრაცია ეფექტიან კონკურენციას იმდენად ზღუდავს, რომ მისი ძალაში დატოვება უბრალოდ შეუძლებელია, მაშინ კონკურენციის სააგენტოს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება თავისი გადაწყვეტილებით ბათილად გამოაცხადოს ეკონომიკური აგენტების მიერ ამ კონცენტრაციის მიზნით განხორციელებული ყველა ქმედება. ეს დასკვნა კი თავის მხრივ საფუძვლად უნდა დაედოს რეესტრის გადაწყვეტილების, ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელისა თუ დამოუკიდებელი რეგისტრატორის ჩანაწერების, ასევე მხარეთა შორის

¹²⁸ Vogel L., *Global Competition Law, A Practitioner's Guide*, Paris, 2015, 208.

¹²⁹ Vogel L., *Global Competition Law, A Practitioner's Guide*, Paris, 2015, 312.

დადებული ხელშეკრულებების ბათილობასა და კონცენტრაციამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენას. ცხადია, ეკონომიკურ აგენტებს უნდა გააჩნდეთ კონცენტრაციის ბათილობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება, როგორც ეს ევროკავშირისა და არაერთი ქვეყნის კანონმდებლობითაა გათვალისწინებული¹³⁰.

ამასთან, ხელყოფილი ეფექტიანი კონკურენციის სწრაფად აღდგენის მიზნით, უმჯობესია კონცენტრაციის ბათილად გამოცხადების უფლებამოსილება მიენიჭოს კონკურენციის სააგენტოს, ეკონომიკურ აგენტს კი შემდგომ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილება გააჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონცენტრაციის ბათილად გამოცხადებისათვის კონკურენციის სააგენტოს მოუწევს სასამართლოსათვის მიმართვა და კონცენტრაციის ბათილობის საფუძველი მხოლოდ სამივე ინსტანციის სასამართლოს გავლის შემდეგ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იქნება. ცხადია, ეს უკანასკნელი მოდელი კონკურენციის შესახებ კანონის აღსრულების ეფექტიანი გზა ვერ იქნება.

გ. სანქციების ამოქმედებამდე განხორციელებული კონცენტრაციების ბედი

სამართალში ზოგადად აღიარებული პრინციპების მიხედვით, კანონს, თუ ის აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას უკუძალა არ აქვს¹³¹. მაგრამ არსებული სამართლებრივი რეალობიდან გამომდინარე, იბადება კითხვა: რა ბედი ელით იმ კონცენტრაციებს, რომლებიც ეკონომიკურმა აგენტებმა სანქციის არარსებობის პირობებში, სააგენტოსათვის შეუტყობინებლად განახორციელეს და რომლებიც არსებითად ზღუდავენ ეფექტიან კონკურენციას?

თუკი კანონში ცვლილებების ძალაში შესვლამდე განხორციელებულ კონცენტრაციებს ყურადღების მიღმა დავტოვებთ, შეუძლებელია გახდეს კონკურენციის შესახებ კანონის მიზნის - საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის - მიღწევა. იმისათვის, რომ განხორციელებული კონცენტრაციები მოწესრიგების მიღმა არ დარჩეს, შესაძლებელია, ეკონომიკურ აგენტებს, რომელთაც ჰქონდათ კონცენტრაციის შეტყობინების შესახებ ვალდებულება, თუმცა დაარღვიეს ის,

¹³⁰ Vogel L., *Global Competition Law, A Practitioner's Guide*, Paris, 2015, 74.

¹³¹ იხ. კანონის უკუძალა, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი < <http://gil.mylaw.ge/ka/term/1496.html> > [29.06.2019].

კანონით ჯარიმის დაწესებს შემდეგ მიეცეთ გარკვეული ვადა (მაგალითისათვის 6 თვე, 1 წელი) რათა სააგენტოს ნებაყოფლობით შეატყობინონ უკვე განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ. სააგენტო, თავის მხრივ განიხილავს კონცენტრაციას, გამოიყენებს მის მიმართ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს ან უკიდურეს შემთხვევაში ბათილად ცნობს მას.

დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ სააგენტოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება განცხადების/საჩივრის საფუძველზე, ისევე როგორც *ex officio*, განიხილოს უკვე განხორციელებული კონცენტრაცია, დააჯარიმოს ეკონომიკური აგენტები მისი შეუტყობინებლად განხორციელებისათვის, გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება კონცენტრაციის ბათილობის შესახებ.

ვფიქრობ, ასეთი მოწესრიგება ხელსაყრელია. იგი ერთი მხრივ საშუალებს აძლევს ეკონომიკურ აგენტებს გამოსასწორონ დაშვებული შეცდომა, ხოლო მეორე მხრივ, გვერდს არ უვლის კანონის აშკარა ხარვეზს და მაქსიმალურადაა კონცენტრირებული, როგორც ეკონომიკური აგენტების ინტერესებისა და უფლებების დაცვაზე, ისე ეფექტიანი კონკურენციის არსებითად შემზღვეველი ქმედებების შედეგების აღმოფხვრაზე, კონცენტრაციის მოდიფიცირების ან ანულირებასა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის გზით.

დასკვნა

არსებული მოწესრიგების ვაკუუმიდან გამომდინარე, დღეისათვის კონცენტრაციების განხორციელება კონკურენციის სააგენტოს გვერდის ავლითაა შესაძლებელი, რაც აფერხებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიერ დეკლარირებული მიზნების აღსრულების პროცესს. შეტყობინების ვალდებულების უგულვებელყოფით განხორციელებულმა კონცენტრაციებმა შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ ეფექტურ კონკურენციას ქვეყანაში.

ეს ერთადერთი პრობლემა არ არის. მოსალოდნელი კონცენტრაციის შეტყობინების შემდეგ, წინა პლანზე უკვე სხვა საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ხარვეზები იწევს. სააგენტოს შეტყობინების სიღრმისეული ანალიზისათვის არ აქვს არც საკმარისი ვადა, არც ეკონომიკურ აგენტოთაგან შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებისთვის აუცილებელი ბერკეტები.

კონცენტრაციის აკრძალვისათვის დომინანტური მდგომარეობის მოპოვების/გაძლიერებისა და ეფექტიანი კონკურენციის არსებითად შეზღუდვის კუმულატიურ წინაპირობებად განსაზღვრა (განსაკუთრებით კი დომინანტური მდგომარეობის დადგენის მიმართულებით სააგენტოს პრაქტიკის გათვალისწინებით), ასევე სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების უფლებამოსილების არქონა, შეიძლება ითქვას, შეუძლებელს ხდის ეფექტიანი კონკურენციის შენარჩუნებასა და მომხმარებელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

ამდენად, საქართველო ამჟამად სრული მოცულობით ვერ ასრულებს ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მას არ გააჩნია კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს შერწყმების ეფექტიან კონტროლს.

შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაიზარდოს მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხილვის ვადა. ეს ხელს შეუწყობს კონცენტრაციის საკითხის სიღრმისეულ კვლევას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მეტი ფაქტორის გათვალისწინებას. აგრეთვე, სააგენტოს უნდა მიეცეს უფლებამოსილება გამოთხოვილი ინფორმაციის მიუწოდებლობის ან

არასრულად მიწოდების შემთხვევაში გამოიყენოს სანქციები ეკონომიკურ აგენტთა მიმართ.

კონცენტრაციის აკრძალვისათვის დომინანტური მდგომარეობის მოპოვების/გაძლიერებასა და ეფექტიანი კონკურენციის არსებითად შეზღუდვას კანონი კუმულატიურ წინაპირობებად არ უნდა განიხილავდეს. ეფექტიანი კონკურენციის არსებითად შეზღუდვა, როგორც კონცენტრაციის შედეგი, საკმარისი უნდა იყოს სააგენტოს მიერ მხარეებისაგან კონცენტრაციის მოდიფიკაციის მოთხოვნის, სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების ან უკიდურეს შემთხვევაში, კონცენტრაციის შესახებ უარყოფითი დასკვნის გაცემისათვის.

ამასთან, აუცილებელია, რომ კონკურენციის შესახებ კანონის დაცვაზე და შესრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოს ჰქონდეს შეტყობინების ვალდებულების დარღვევით განხორციელებულ კონცენტრაციებზე რეაგირების თანაზომიერი ბერკეტები.

ამ მიზნით, კანონმა უნდა გადაადგინოს ჯარიმა შეტყობინების ვალდებულების დარღვევისათვის. ჯარიმის ოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს ან ეკონომიკური აგენტების წინა ფინანსური წლის ბრუნვაზე ან კანონის დარღვევით განხორციელებული კონცენტრაციის შედეგად მიღებული სარგებლის ოდენობაზე.

გარდა ფულადი სანქციისა, აუცილებელია სააგენტოს გააჩნდეს ეფექტიანი კონკურენციის აღდგენის საშუალება. რაც, თუ შესაძლებელია, მოიაზრებს ნაკლებად შემზღუდველი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებას, ხოლო თუკი ეს შედეგს ვერ გამოიღებს, კონცენტრაციის მიზნით განხორციელებული ქმედებების ბათილად გამოცხადებასა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

და ბოლოს, მივიჩნევ, რომ ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ეკონომიკურმა აგენტებმა ისარგებლეს არსებული საკანონმდებლო ხარვეზით და განახორციელეს შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციები სააგენტოს გვერდის ავლით. მათ უნდა მიეცეთ გარკვეული ვადა განხორციელებული კონცენტრაციების ნებაყოფლობით, post factum შეტყობინებისათვის. ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კი მათ უნდა დაეკისროთ საკანონმდებლო ცვლილებათა შემდეგ ამოქმედებული შესაბამისი სანქციები.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა:

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი.
2. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №30/09-4 „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“.
3. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №30/09-3 „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“.
4. ევროპის საბჭოს 2004 წლის 20 იანვრის რეგულაცია № 139/2004 ეკონომიკურ აგენტთა შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ, OJ L 24/1.
5. ამერიკის შეერთებული შტატების 1914 წლის 15 ოქტომბრის კლეიტონის ანტიკონკურენციული აქტი.

ლიტერატურა:

1. *კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრი*, სიახლეები კონკურენციის სამართალში, თბილისი 2014.
2. *მაისურაძე დ., სულხანიშვილი ე., ვაშაკიძე გ.*, ევროკავშირის კერძო სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, თბილისი 2018.
3. *მენაბდიშვილი ს.*, კონცენტრაციის არსი და მისი კონკურენციის სამართლისეული შეფასება, მართლმსაჯულება და კანონი, № 2(58)'18, 2018.
4. *მენაბდიშვილი ს.*, საქართველოს კონკურენციის სამართლის შესაბამისობა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმებთან (ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად), თბილისი 2018.
5. *მენაბდიშვილი ს.*, ქართული კონცენტრაციის რეგულირებაში ძირითადი საკანონმდებლო ხარვეზები, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, ნ. ხადურის რედაქტორობით, თბილისი 2017.
6. *საერთაშორისო გამჭვირვალობა* - საქართველო, კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში, თბილისი 2012.
7. საქართველოს კონკურენციის სამართალი, *ზუკაკიშვილი ქ., ჯაფარიძე ლ.*, თბილისი, 2019.
8. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბილისი 2004.
9. *ჯიბუტი ნ.*, ერთობლივი საწარმოს შექმნა - კონცენტრაციის სახე და თანმდევი პრობლემები, საქართველოს კონკურენციის სამართლის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზება, კონკურენციის პოლიტიკა:

თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, ნ. ხადურის რედაქტორობით
თბილისი 2018.

10. *Cauffman C.*, The Impact of Voidness for Infringement of article 101 TFU on Related contracts, *European Competition Journal*, Vol. 8, No 1, 2012.
11. *Chantrel É., Navacelle C.*, Report On Assessing Penalties For Infringements Of Competition Law, Paris 2010.
12. *Cottyn A.S.*, EU merger control after the reform: more economics, but still more than economics, Ghent 2017.
13. *Crane D.A.*, The Economics of Antitrust Enforcement, *Antitrust Law and Economics*, edited by Hylton K. N., Massachusetts 2010.
14. *Fountoukakos K., Ryan S.*, A New Substantive Test For EU Merger Control, *European Competition Law review: a quarterly review*, Vol. 26, No 5, 2005.
15. *Fugina K.*, Merger Control Review in the United States and the European Union: Working towards Conflict Resolution, *Northwestern Journal of International Law & Business*, Vol26, Issue 2 winter, 2006.
16. *Hawkes G.*, Cartels – The case for criminalization in the EU, Dumblin 2014.
17. *Jones & Bartlett Learning*, The Field Of Law Enforcement, Massachusetts 2010.
18. *Kwoka J.*, Mergers, Merger control and Remedies, a retrospective analysis of U.S. policy, Massachusetts 2015.
19. *Levy N.*, EU Merger Control: From Birth to Adolescence, *World Competition*, 26(2), 2003.
20. *Menabdishvili S.*, Main Practical and Legal Issues in Georgian Merger Regulation in the Context of EU-Georgian Association Agreement, *EU Association Agreements With Georgia, Moldova And Ukraine: Through Cooperation Towards Integration*, Chişinău-Tbilisi-Chernivtsi 2017.
21. *Menabdishvili S.*, Merger Control in Georgia – National Legislation and Case Law Review, *Yearbook of Antitrust and Regulatory Studies* 9 (14), 2016.
22. *Milne M.*, A Contextual analysis of the 2004 revisions to the substantive test for competitive harm in the EU Merger Regulation, *Dundee Student Law Review*, Vol III, No 3, 2016.
23. *Moisejevas R., Novosad A.*, Some Thoughts Concerning The Main Goals Of Competition Law, *Jurisprudence* 20(2), 2013.

24. *Monti G.*, The New Substantive Test in the EC Merger Regulation – Bridging the Gap Between Economics and Law?, LSE Law, Society and Economy Working Papers, London 2008.
25. *OECD, Directorate for Financial and Enterprise Affairs Competition Committee*, The Standard for Merger Review, with a Particular Emphasis on Country Experience with the Change of Merger Review Standard from the Dominance test to the Slc/Siec Test, Paris 2009.
26. *Oesterle A. D.*, The Law of Mergers and Acquisitions, Ohio 2005.
27. *Parisi J. J.*, A Simple Guide to the EC Merger Regulation, Columbus 2010.
28. *Riesenkampff A.*, New E.C. Merger Control Test under Article 2 of the Merger Control Regulation, The Symposium on European Competition Law, Northwestern Journal of International Law & Business, Vol 24, issue 3 spring, 2004.
29. *Röller L-H., De la Mano M.*, The Impact of the New Substantive Test in European Merger Control, European Competition Journal, Vol. 2, No 1, 2006.
30. *Surmava L.*, From PCA to AA with Georgia: Harmonising State Aid Provisions, EU Association Agreements With Georgia, Moldova And Ukraine: Through Cooperation Towards Integration, Chişinău-Tbilisi-Chernivtsi 2017.
31. *Vogel L.*, Global Competition Law, A Practitioner’s Guide, Paris, 2015, 192
32. *Whish R., Bailey D.*, Competition Law, New York 2012.
33. *Zekos G.*, Economics and law on competition and globalization, New York 2008.
34. *Zukakishvili K.*, Two Years after the Legal Transplantation in Georgia, the Best is yet to Come, Sofia Competition Forum, Sofia 2016.

კონკურენციის სააგენტოს წლიური ანგარიშები:

1. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2016.
2. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2017.
3. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2018.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. საქმე T-2/93 *Air France v Commission* [1994] ECR II-00323.
2. საქმე T-290/94 *Kaysersberg v Commission* [1997] ECR II-2137.

3. საქმე C-68/94 *France v Commission* [1998] ECR I-1375.
4. საქმე T-342/99 *Airtours v Commission* [2002] ECR II-2585.
5. *United States v Philadelphia Nat'l Bank*, 374 U.S. 321 (1963).
6. *United States v Von's Grocery Co*, 384 U.S. 270 (1966).
7. *United States v General Dynamics Co*, 415 U.S. 486 (1974).

ევროკომისიისა და კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებები:

1. *Total/Gaz de France* (საქმე COMP/M.3410) ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება [2004] OJ C 215/08.
2. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის 9 ივნისის № 67 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „შპს „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯიას“ მიერ შპს „თბილცემენტ გრუპის“ სასაქონლო ბეტონის წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების (საოპერაციო აქტივების) შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“.
3. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2015 წელს 28 ივლისის ბრძანება N 95-ით დამტკიცებული გადაწყვეტილება „სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ მიერ შპს „გნ კო“-ს 50%-იანი წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“.
4. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 26 თებერვლის № 27 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „შპს „ნიკორა ტრეიდ“-სა და შპს „ნუგემ“-ს შორის განხორციელებული კონცენტრაციის შედეგად კონკურენციის შესახებ კანონის მე-11 და მე-11¹ მუხლების დარღვევის შესახებ“.
5. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 7 მარტის № 32 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „შპს „ალტა“-სა მიერ შპს „ევროტექნიკს ჯორჯია“-ს მიერ ერთობლივი საწარმოს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“.
6. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 28 აპრილის № 57 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფსა“ და სს „ჯიპისის“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“.
7. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 28 დეკემბრის № 247 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „სს „ჯიპისი“-სა და სს „ეი-ბი-სი

ფარმაციას“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“.

8. სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2017 წლის დეკემბრის № 04/325 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „შპს „ალტასა“ და შპს „მეტრომარტს“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“.

დამხმარე მასალა:

1. ევროპის საბჭოს 2004 წლის 5 თებერვლის ჰორიზონტალური შერწყმების შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები, OJ C 31/03.
2. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის №: 1551 განკარგულებით დამტკიცებული „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“.
3. CMS, Expert Guide to Merger Control in Europe Estonia, London 2014.
4. Lex Mundi Ltd, Pre-Merger Notification Survey, Huston 2012.
5. French Competition Authority, Merger Control Guidelines, Paris 2009.
6. The Legal 500 & The In-House Lawyer, Germany: Merger Control, Frankfurt 2017.

ინტერნეტ წყაროები:

1. „კონკურენციის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების განხილვა <https://commersant.ge/ge/post/konkurenciis-shesaxeb-kanonshi-shesatani-cvlilebebisga-nxilva-gaimarta> .
2. სუბიექტის რეორგანიზაცია <https://napr.gov.ge/p/619> .
3. მეწარმე იურიდიული პირის პირველადი და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია <https://napr.gov.ge/p/616> .
4. კანონის უკუძალა, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი <http://gil.mylaw.ge/ka/term/%201496.html> .
5. <http://oxfordre.com/economics/view/10.1093/acrefore/9780190625979.001.0001/acrefore-9780190625979-e-340> .
6. <https://en.wikipedia.org/wiki/Ordoliberalism> .